საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცეკვაა, ფცეფილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგზე ესაძაგლესია.

ოთხშაბათი, 21 თებერვალი. 2024 წ. №21 (9701) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ო, უბედურო საქართველოვ!

ანეკდოტი კი არა, ნამდვილი პამფლეტია!

იხ. 3 გვ.

ოპოზიცია უკვე ე. წ. ჩრდილოვან კაბინეტს ქმნის...



რა ღირს სიკორსკისგან ჭკუის დარიგება?

იხ. 4 გვ.

ლობისტების მიერ „გაცოცხლებული“ საკაშვილი



5 ამომრჩეველს წინ ვერავინ დაუდგება!

ბულგარეთის ფიცარნაგზე

სასპა არა სჯობს...

გუშინ სოფიაში დასრულებული ძალოსანთა ევროფორუმი, ტრადიციისამებრ, ლაშა ტალახაძის ტრიუმფის აღსანიშნავად, ქართული ჰიმნით უნდა დაგვირგვინებულიყო, მაგრამ, როგორც დებულება მოითხოვდა, ჩვენი სასიქადულო შტანგისტი მხოლოდ ტურნირზე დარეგისტრირებითა და აწონვით დაკმაყოფილდა, საპატიო კვარცხლბეკისკენ კი მწვანე შუქი მისი ჰეგემონიით დატანჯულ მეტოქეებს აუნთო.

როგორც გაირკვა, საგანგაშო არაფერია – ჩვენი დელეგაციის მესვეურებმა, უშრალოდ, არ გარისკეს და ყველაფრის ჩემპიონს ახლადგადატანილი ვირუსისა და მცირე ტრავმების გამო დასვენების საშუალება მისცეს. ვერც გავამტყუნებთ – ზაფხულში ხომ პარიზის მესამე ოლიმპიური მწვერვალი უნდა დაიპყროს.



ლიდერის არყოფნაში გვასახელა ანასტასია გოტფრიდმა (87 კგ), რომელმაც ატაცში მოხვეჭილ ოქროს აკვრასა და ორჯიდში დამსახურებული ვერცხლის ჯილდოები დაუმატა და ბულგარულ ფიცარნაგზე ჯვაროსანთა მოპოვებულ მედალთა რაოდენობა 8-მდე გაზარდა (1, 4, 3). დავძენთ, რომ მანამდე 102 კილოში მოასპარეზე ირაკლი ჩხეიძე აკვრაში ბრინჯაოს დაეუფლა.

ევროპის ბევრ ქვეყანაში პროდუქტები უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში! 6

შოვის ტერიტორიაზე ცხოვრება აღარ შეიძლება!

იხ. 6 გვ.



ჯოზეფ ბორელი ბრმა და ყრუ ყოფილა!

„არავის სერიოზულად ეს არ მიუღია“, – გუშინ ასე უპასუხა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა **ჯოზეფ ბორელმა** „მეორე ფრონტის“ შესახებ დასმულ შეკითხვაზე **ირაკლი კობახიძესთან** ერთად გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე.

ბორელის თქმით, **არავის სმენია უკრაინიდან მსგავსი მოწოდებები. მისივე თქმით, საქართველოსა და უკრაინას უნდა ჰქონდეს საუკეთესო ურთიერთობები და ქვეყნებს შორის დაპირისპირებით მხოლოდ რუსეთი იღებს სარგებელს.**

ჩვენმა პრემიერმა ევროპაში პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს სრულიად გასაგებად განაცხადა:

სამწუხაროდ, რამდენიმე განცხადება გაკეთდა მეორე ფრონტის შესახებ, ეს უკრაინელი სამთავრობო პირებიდან მოდიოდა, – უსაფრთხოების საბჭოს მდივნისგან, პრეზიდენტის მრჩევლისგან... ძალიან სამწუხარო იყო ეს განცხადებები, თუმცა უკრაინას ძალიან მტკიცედ ვუჭერთ მხარს პოლიტიკურად და ძლიერი ჰუმანიტარული დახმარებაც გვაქვს აღმოჩენილი. ჩვენ დღესაც განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობები გვაქვს უკრაინელ ხალხთან...

რაც შეეხება სანქციებს, ამ მიმართულებით მკაფიო პოზიცია გაგვაჩნია, ჩვენ არ ვაწესებთ სანქციებს და ამისთვის ძალიან ძლიერი არგუმენტები გვაქვს, ამავდროულად, საქართველო არ გამოიყენება სანქციების გვერდის ასავლელად“...

გორელს ეს არ გაუგია!..

ირაკლი კობახიძე ჟოზეფ ბორელს ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს, ჟოზეფ ბორელს შეხვდა. ჟოზეფ ბორელმა ირაკლი კობახიძეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესზე ისაუბრეს. ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭება საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ინტენსიური ძალისხმევისა და გადადგმული ნაბიჯების შედეგია. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს აქტიურ მუშაობას ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად და საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობს იმისთვის, რომ გაიხსნას ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებები. პრემიერ-მინისტრმა ამ მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ხაზი გაუსვეს რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობას.

პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის მხარეს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ღირებული ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი კობახიძემ გასულ წელს საქართველოში ჟოზეფ ბორელის ვიზიტისა და ევროკავშირში გაწევრების პროცესში მისი შემდგომი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მთავრობის მეთაურმა ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტს თანადგომისთვის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ბრიუსელში საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით სამთავრობო დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაში, რომელიც ბრიუსელში, ევროპულ საბჭოში გაიმართა.

სხდომაზე ევროკავშირის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჟოზეფ ბორელი.

ოლივერ ვარჰეი: ვაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის გზაზე

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, ოლივერ ვარჰეი სოციალურ ქსელში ევროკავშირ-საქართველოს საბჭოს სხდომას ეხმიანება.

„დღეს ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს მერვე სხდომაზე განვიხილავთ მომდევნო ფაზას, 2023 წლის დეკემბრის ევროსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ. გასათვალისწინებელია 2023 წლის გაფართოების ანგარიშის რეკომენდაციებში მოცემული 9 ნაბიჯი. ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის გზაზე“, – წერს ვარჰეი სოციალურ ქსელში X.

კახა კალაძე: არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და მასში ჩარევას ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს

– ამის შესახებ **კალაძემ** ჟურნალისტებთან გუშინ განაცხადა. მისი თქმით, 2012 წლის შემდეგ საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად ტარდება და ეს სტანდარტი შენარჩუნდება.

„არჩევნებში ჩარევის შესაძლებლობა არავის აქვს, არც რუსეთს, არც ევროკავშირს, არც აშშ-ს. ამას ვერავინ შეძლებს. ყველამ იცის, როგორ ვატარებთ არჩევნებს და ეს სტანდარტი იქნება შენარჩუნებული. ყველა პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკოსს ექნება შესაძლებლობა, აწარმოოს თავისი საარჩევნო კამპანია, შეხვდეს მოსახლეობას, გააცნოს თავისი ხედვები და შეხედულებები, თუმცა არჩევნებში ჩარევას ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

რუსთაველზე სუპერსაბაგირო ზაფხულის ბოლოს გვექნება...

დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილე ირაკლი ზენდელიანთან ერთად, რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

პროექტი 2022 წლის სექტემბერში დაიწყო და მისი დასრულება მიმდინარე წლის ზაფხულში იგეგმება. საბაგირო გზაზე დასრულებულია ანძების მონტაჟი და ზედა სადგურის კონსტრუქციის მოწყობა. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს ქვედა სადგურის ბაქნის მოწყობისა და გადახურვის სამუშაოები, უახლოეს მომავალში დაიწყება ელექტროსამონტაჟო სამუშაოები და ბაგირის გაჭიმვის პროცესი.

„ძალიან კარგი პროექტი ხორციელდება. ეს არის ახალი საბაგირო, რომელიც რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიას დააკავშირებს მთაწმინდასთან. სამუშაოები ზაფხულის ბოლოსთვის დასრულებული უნდა იყოს. ხუთივე საყრდენი დაყენებულია. მომდევნო დღეების განმავლობაში გაიჭიმება ბაგირები. გარდა ამისა, პარალელურად მიმდინარეობს მიმღები სადგურების სარემონტო სამუშაოები. ძალიან კარგია, როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, რადგან რუსთაველიდან მთაწმინდაზე საბაგიროთი ასვლა ოთხ წუთში იქნება შესაძლებელი. საათში დაახლოებით 1 200 მგზავრი შეძლებს გადაადგილებას. ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ქალაქში ეს ისტორიული პროექტი აღდგა“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

პროექტს გაეცნენ საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ბექა ოდიშარია და ზურაბ აბაშიძე, ასევე, მთაწმინდის რაიონის გამგებელი დავით კირკიტაძე. რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელ საბაგირო გზაზე იმოძრავებს 21 გონდოლა, გზის დაფარვის საშუალო სიჩქარე იქნება 4.07 წუთი, მარშრუტის სიგრძე კი – 845,55 მ. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 50 მლნ ლარს. რეაბილიტაციის შემდეგ, საბაგირო გზა სამართავად „მთაწმინდის პარკს“ გადაეცემა. საბაგირო გზის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს „დაგი“, ხოლო საინჟინრო-ტექნოლოგიურ სამუშაოებს – კომპანია „დოპელმაიერი“.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ნინო წერეთელი უხელმძღვანელებს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე ნინო წერეთელი დაინიშნა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ცენტრის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი სამუშაო შეხვედრაზე წარუდგინა და მას სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. ნინო წერეთელს განათლების სისტემაში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2019 წლიდან დღემდე კი, იკავებდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას.

არც პოზიტიური, არც დადებითი, მხოლოდ ცუდი, ანგაჟირებული!

საგარეო უწყება: მიუნხენის კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ კონფერენციის 2024 წლის ანგარიში ეყრდნობა პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების ინფორმაციას

მიუნხენის კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ კონფერენციის 2024 წლის ანგარიში ეყრდნობა პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების ინფორმაციას, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თვალები დაგიდგეს, აგენტების მიერ მოტყუებულო ევროპავ!

უწყების განმარტებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრა გამართა მიუნხენის კონფერენციის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორ ბენედიქტ ფრანკესთან. მინისტრმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტს ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის. ამასთან, ილია დარჩიაშვილმა ხაზი გაუსვა, მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის ეფექტიან საერთაშორისო ფორუმს, საქართველოს სათანადოდ წარმოჩენის მნიშვნელობას, რასაც კონფერენცია ყოველთვის უწყობდა ხელს.

ამ კონტექსტში საუბარი შეეხო კონფერენციის 2024 წლის ანგარიშს.

ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ ანგარიში ეყრდნობა პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების ინფორმაციას. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდროდ ითანამშრომლონ მომავალში საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების კუთხით. როგორც კონფერენციის აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია დაინტერესებულია საქართველოს მთავრობასთან შემდგომი თანამშრომლობით, მათ შორის ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცებას.

ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ანეკდოტი კი არა, ნამდვილი პამფლეტია!

ოპოზიცია უკვე ე. წ. ჩრდილოვან კაბინეტს ქმნის, სადაც მინისტრებად გვარამია, შაშკინი, ვაშაძე, ბულაძე, ლომჯარია, გიგაური, ბესელია და სხვა რადიკალები სახელდებიან

ოპოზიციაში უკვე არსებობს ე.წ. ჩრდილოვანი კაბინეტის მონახაზი და ცნობილია იმ ადამიანების გვარები, რომლებიც თუკი კოალიციური მთავრობის შექმნა გახდება საჭირო, მინისტრთა კაბინეტს დაიკავებენ. ოპოზიცია პრემიერ-მინისტრის პოსტზე **გიორგი ვაშაძეს** განიხილავს; შინაგან საქმეთა მინისტრად **დიმიტრი შაშკინს;** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად **ნიკა გვარამიას;** საგარეო საქმეთა მინისტრად **ანა ნაცვლიშვილს** ან **სალომე სამადაშვილს**; თავდაცვის მინისტრად **თინა ხიდაშელს;** ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე **მამუკა ხაზარაძეს;** იუსტიციის მინისტრად **ეკა ბესელიას;** განათლების მინისტრის პოსტზე **ნინო ლომჯარიას**; გენერალურ პროკურორად მოიაზრებიან **ნონა წოწორია** ან **ეკა გიგაური;** ეკონომიკის მინისტრად **პაატა მანჯგალაძეს;** ფინანსთა მინისტრად **პეტრე ცისკარიშვილს;** სოფლის მეურნეობის მინისტრად **ბექა ლილუაშვილს** ან **შალვა კერესელიძეს;** კულტურის მინისტრად **ლაშა ბუღაძეს;** ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე **სოფო ჯაფარიძეს**, შერიგების მინისტრად კი **გრიგოლ გეგელიას**.

უმრავლესობის შეფასებით, კოალიციურ მთავრობაზე საუბარი ნიშნავს იმას, რომ ოპოზიცია კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ ფრთის ქვეშ ერთიანდება და რეალურად, ეს დემოკრატიული პროცესი ვერ იქნება.

„სტრატეგია აღმაშენებელის“ თავმჯდომარე **გიორგი ვაშაძე** აცხადებს, რომ ყველაფერი ხალხის ხელშია და როგორც ხალხი გადაწყვეტს, ისე იქნება. საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „საქართველოსთვის“ წარმომადგენელს **მიხეილ დაუშვილს**, ის ნებისმიერი კოალიციის შექმნას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად არჩევნებამდეც და არჩევნების შემდგომაც, გამორიცხავს.

„სრულად გამოვრიცხავ, 100%-ით, არჩევნებამდეც და არჩევნების შემდგომ „ნაცმოძრაობასთან“ ერთად რაიმე ფორმის კოალიციის შექმნას. რა შეიძლება, რომ მაგათგან გამოვიდეს? ხუმრობას ჰგავს, კარგი ანეკდოტია, ერთხელ მაინც გავიცინებთ და ეგ არის“, – აცხადებს **მიხეილ დაუშვილი.**

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ირაკლი ზარქუა** კი ამბობს, რომ რასაც გიორგი ვაშაძე „ნაციონალურ მოძრაობას“ უკეთებს, „ჩათლახობაა“.

„თანამდებობები ხომ ვირტუალურად გადაინაწილეს, თვითონ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატია – ასე დასახელდა. ის მსხვერპლი რომ ჰყავს, რომ მისდევს ხოლმე, მანჯგალაძე, ეკონომიკის მინისტრია. ხაზარაძეს ჩააბარეს ინფრასტრუქტურა, ანაკლია ხომ ააშენა და ინფრასტრუქტურა მიაბარეს.

კაცი გამოვიდა, 1%-იანი რომ იყავი - მიგიკედლა, დაგბანა, დაგვარცხნა და რა გაუკეთეთ? სცენიდან ჩააგდეთ და შენ და პეტრემ ჩაუტარეთ პრეზენტაცია ამერიკულ სტილში, მოსცხეთ ტაში იქაც და ამის შემდეგ საერთოდ განაწილებაშიც ვერ მოახვედრეთ. კაცმა მთელი ზაფხული ბუნების ძალები დაიმორჩილა, გარემოს დაცვის მინისტრობა მაინც არ ეკუთვნის? არა ხარ სწორი კაცი შენ. ხაზე, ამოიღე შენც ხმა მიჭო, რა დასჯილივით ხარ“, – აცხადებს **ირაკლი ზარქუა.**

ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** ამბობს, რომ მსგავსი ჩრდილოვანი კაბინეტი ღიმილის მომგვრელია და ეს ამომრჩევლის თვალში კიდევ დამატებით არგუმენტს იძლევა იმისთვის, თუ 2024 წელს მხარი ამ ოპოზიციას რატომ არ უნდა დავუჭიროთ.

„საინტერესო ისაა, რომ მსგავსი მთავრობა ჩვენს მოსახლეობას უკვე ჰყავდა. ასეთი შემადგენლობა ხომ უკვე ნანახიც აქვს და საკუთარ თავზეც ჰყავს გამოცდილი. ჯერ ერთი, საინტერესოა, ეს ე.წ. კაბინეტი მიხეილ სააკაშვილთან არის თუ არა შეთანხმებული. საერთოდ აქედან ჩანს, რომ ძირითადი მინისტრების ნაწილი ისევ ნაციონალები იქნებიან. საინტერესოა ასევე ნიკა გვარამიას უშიშროების მინისტრად დასახელება, რადგან ეს კაცი იუსტიციის, განათლების მინისტრი ხომ უკვე იყო. ასევე მთავარი პროკურორის მოადგილე გახლდათ. მაინტერესებს, მაშინ რა გააკეთა, რომ ახლა ხალხს მისი უკან დაბრუნება სურდეს ისევ?! ეს კაცი არაა მიხეილ სააკაშვილის იმ ჯოჯოხეთური 9-წლიანი მმართველობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი სახე – მოდელირებული დაკავებების და ა.შ?!

თუნდაც ეკა გიგური, რომელიც მერაბიშვილის ერთ-ერთ მაღალჩინოსანი იყო – ამ ქალბატონს როდის გამოუჩენია სინანული ან გულისტკივილი იმაზე, რაც ხდებოდა? ვფიქრობ, ეს არის ოპოზიციის ამომრჩევლისთვის შემოგდებული თემა, რომ აი, კაბინეტის შექმნაც კი შეგვიძლიაო. თუმცა საინტერესო ის არის, რომ პირიქით, ასეთი მთავრობის დანახვისას ელექტორატის დიდი ნაწილი ისევ ხმას „ოცნებას“ მისცემს და ეს ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველშიც კი უკუჩვენებას გამოიწვევს. ეს ე.წ. მთავრობა ვერ იქნება „ოცნების“ ალტერნატივა და ეს ყველა კვლევებით ძალიან კარგად ჩანს“, – ამბობს **ქადაგიძე.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძამირაძე** მიიჩნევს, რომ თუკი ვინმეს მსგავსი სია და ე.წ. ჩრდილოვანი კაბინეტის მონახაზი აწყობს, ეს „ქართული ოცნებაა“. თუ ეს სახელი და გვარები რეალობას შეესაბამება და ოპოზიციაში ასეთი განხილვა მართლაც მიდის, მაშინ „ოცნებას“ ამაზე კარგ საქმეს ვერც გაუკეთებენ.

„ე.ი. ორი ვერსიაა ამ სიასთან დაკავშირებით. თუ ეს რეალურია და ოპოზიცია მსგავს სახელებზე და გვარებზე ჩამოყალიბებულია, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ ამის გაჟონვა მედიაში მოხდა ან ოპოზიციის ან ხელისუფლების მხრიდან. საქმე კი ისაა, რომ ასეთი გეგმის არსებობის შემთხვევაში, ეს ყველაზე მეტად „ოცნებას“ აძლევს ხელს. ამ მინისტრთა კაბინეტით, თუკი ოპოზიცია მას დაადასტურებს და ოფიციალურად გამოაქვეყნებს ე.წ. შუაშისტი ამომრჩევლის მიმხრობას ვერ შეძლებენ. არ ვიცი „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი რამდენად იქნება გიორგი ვაშაძით კმაყოფილი, მაგრამ ოპოზიციის ამომრჩევლის დიდი ნაწილი რომ ასეთ კაბინეტს არ მიიღებს, ეს ფაქტია. აქ არის ისეთი გვარები, რომლებიც ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე უკვე ნამყოფები არიან.

პირველ რიგში, ნიკა გვარამია, რომელიც იუსტიციის, განათლების მინისტრი იყო. ასევე – მთავარი პორკურორის მოადგილე. მასთან დაკავშირებით ყველას კითხვები და პრეტენზიები აქვს. აქ არის ბესელია, რომელიც „ოცნებაში“ ყოფნის დროს კორუფციულ გარიგებებში არის ბრალდებული. ასევე გიგაური, რომელიც მერაბიშვილის დროს იყო თანამდებობის პირი. შაშკინი იყო თავდაცვის მინისტრი. კი მატონო, არიან გვარები, რომლებზეც პრეტენზია არ ექნება ხალხს, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ თავად ოპოზიციაში ამ გვარებზე თანხმობა იქნება?“, – ამბობს **ძამირაძე.**

5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსები გიორგი გახარიას უფრო აქვს, ამიტომ არ არის გამორიცხულია რომ პრემიერობა მას კვლავ სურდეს. ასევე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც შესაძლოა ასევე ოფიციალურად ოპოზიციურ ბანაკში აღმოჩნდეს. ძამირაძე ამბობს, რომ ნიკა მელიასაც, დიდი ალბათობით, პრეტენზია თანამდებობაზე ექნება. ამიტომ ძამირაძე ოპოზიციის წარმომადგენლებს ურჩევს, ჯერ კაბინეტზე კი არა, იმაზე იფიქრონ, 5%-იანი ბარიერი როგორ გადალახონ და როგორ მოხვდნენ პარლამენტში.

ლიკა ბერიკაშვილი

რა ღირს სიკორსკისგან ჭკუის დარიგება?

ლობისტების მიერ „გაცოცხლებული“ სააკაშვილი

როგორც ვიუწყებოდით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რასაც სალომე ზურაბიშვილს გადასცემენ. პატიმარი ექსპრეზიდენტი აცხადებს, რომ ივანიშვილი და სამწუხაროდ, პრეზიდენტი ზურაბიშვილიც, რომლებიც საფრანგეთის მოქალაქეები არიან, მას ექცევიან, როგორც პაკისტანელები. როდესაც პაკისტანში ყოფილი პრემიერის იმრან ხანის პოლიტიკაში მონაწილეობა რომ არ დაეშვათ, მას რამდენიმე მუხლით მრავალწლიანი სასჯელი მიუსაჯეს და პირველივე დღიდან ციხეში ამყოფებენ.

იმრან ხანისთან საპუთარი პერსონის გაიგივებიდან რამდენიმე საათში კი სააკაშვილმა თავი უკვე რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის შეადარა და აღნიშნა, რომ შარშან პუტინის დავალებით ოლიგარქის პრორუსულმა რეჟიმმა მოწამლა ციხეში და მაშინ ღმერთმა გადაარჩინა. „რა თქმა უნდა, ივანიშვილს ხელი არ აუღია პუტინის დავალების შესრულებაზე და მეც ნავალნის მსგავსად, ბოლომდე ვიბრძოლებ პუტინიზმის დამარცხებისთვის საქართველოში“...

თუმცა, ასე არ ფიქრობს საქართველოს პრეზიდენტი და აცხადებს, რომ საქართველო რუსეთი არ არის და არ ფიქრობს, რომ ნავალნისთან სააკაშვილის შედარება შეიძლებოდეს. სალომე ზურაბიშვილის ამ მოკლე კომენტარის შემდეგ, მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართულ პანელზე, პატიმრის გედით დაინტერესდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მიხეილ სააკაშვილს მოექცნენ სამართლიანად და მიმართა ზურაბიშვილს, რომ მას შეუძლია წვლილი შეიტანოს მის გათავისუფლებაში.

როგორც **რადოსლავ სიკორსკიმ** აღნიშნა, ამას მიესალმებიან ისინი, ვისაც საქართველოსთვის კარგი უნდათ, თუმცა ვინ, პოლონელ დიპლომატს არ დაუკონკრეტებია, ისევე, როგორც არ დაუკონკრეტებია რამდენად ეთიკურია და ამავე დროს კორექტული, როდესაც უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ერევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

* * *

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **მაკა ბოჭორიშვილი** აცხადებს, რომ ზურაბიშვილი ერთგვარად ჩართულია იმ თამაშში, რა თამაშსაც სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ თამაშობს.

„სამწუხაროდ, პირველად არ ხდება ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილის თანდასწრებით გაუღერებული განცხადებები შემდგომ, მარტივად რომ ვთქვათ, დიპლომატიურ უხერხულობებს უქმნის ჩვენს ქვეყანას. ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჩვენ ეს ერთხელ უკვე ვნახეთ მისი ერთ-ერთი ვიზიტის დროს, რომელსაც არც საფუძველი ჰქონდა და არც ნებართვა. რაც შეეხებოდა საქართველოს მიერ სანქციების დაწესებას, ახლა უკვე ვისმენთ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოწოდებებს. სალომე ზურაბიშვილი თუ ასრულებს გარკვეულ როლს ამ თამაშში“, – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

„ხალხის ძალის“ წევრის **სოზარ სუბარის** განცხადებით, რას იზამს სალომე ზურაბიშვილი, მასზე არ არის დამოკიდებული. ის ამ შემთხვევაში როგორც საქართველოს პრეზიდენტი კი არა, მოქმედებს როგორც უცხო ქვეყნის აგენტი და რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს.

ბუნებრივია, არ ვიცით რა პასუხები გაეცა სალომე ზურაბიშვილის მხრიდან ერთ ან მეორე განცხადებას, თუმცა, ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, სპეცოპერაცია სააკაშვილის ციხიდან გამოსაყვანად გრძელდება და მალე გავიგებთ, თუ რამდენი მილიონი დაჯდა. მისი თქმით, ჯერ Bloomberg ჩააცივდა ზურაბიშვილს სააკაშვილის თემით, შემდეგ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირი ტექსტით მოსთხოვა მისი გათავისუფლება.

„შემდეგი აქტი რა შეიძლება იყოს? თბილისში დაბრუნებული ზურაბიშვილი იტყვის, რომ ევროინტეგრაციის დიადი მიზნის მისაღწევად მივიღე ჩემთვის მტკივნეული და რთული გადაწყვეტილება და ა.შ. თუმცა, მთავარია რა მოხდება იმის შემდეგ, თუ ე.წ. პრეზიდენტმა შეიწყალა ტირანი. ის დატოვებს „ვივა-მედს“ ხოლო ხელისუფლება აუცილებლად შეაბრუნებს მას უკან ციხეში. აი, სწორედ, აქ შეიძლება მოხდეს ის, რაც მე არ მინდა რომ მოხდეს, სააკაშვილისადმი ჩემი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად. ნაცები და მათი აქტივისტები, ბუნებრივია, ფიზიკურად შეეწინააღმდეგებიან სააკაშვილის ციხეში შებრუნებას. დაცვას და სამართალდამცავებს კი ასეთ შემთხვევებში აქვთ იარაღის გამოყენების ლეგიტიმური უფლება – ტყვია კი ბრმაა... ხვდებით იმედია – რას“, – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უხეშად ჩაერია საქართველოს შიდა საქმეებში. მისი თქმით, ჩვენი ტიპის ქვეყნის მხრიდან ასეთი ჭკუის დარიგებას ვერ წავაწყდებით, მაგრამ ევროპელებს, მით უფრო აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლებს, პარადოქსულია, მაგრამ ძალიან ხშირად აქვთ იმის განცდა, რომ ისინი უფრო მეტად დემოკრატიულები არიან, ვიდრე ვინმე ამ ქვეყანაზე.

„მათ აქვთ იმის განცდა, რომ უფრო მეტად იმსახურებენ დემოკრატიის გვირგვინს და შესაბამისად, უფრო მეტად აქვთ უფლება, რომ სხვებს ასწავლონ ჭკუა. ეს ყველაზე რბილ ვარიანტს ვამბობ. ამავე რბილ ვარიანტში შედის ისიც, რომ ყველაფერი მხოლოდ „კეთილგანწყობით“ არის ნაკარნახევი, მიუხედავად ამისა, რომ იმ სიშორიდან რეალობა მაინც არ ჩანს. არათუ უცხოელები, არამედ ქართველებიც კი, რომლებიც იქ ცხოვრობენ, ვატყობთ, რომ ხშირად არაადეკვატურად აფასებენ აქაურ სიტუაციას. რა უნდა გაგვიკვირდეს უცხოელების?

ამიტომ, სასურველი იქნებოდა, რომ ასე ხელაღებით პოზიცია არ გამოეხატა და ჯერ საქართველოს ხელისუფლებისთვის დაესვა კითხვები საიმისოდ, რომ გარკვეულიყო რაშია საქმე, ეს იქნებოდა კორექტული. ამ ნაბიჯების მოფიქრებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება და როცა ადამიანი ვერ ახერხებ ასეთი ნაბიჯების გადადგმას, სავარაუდოა, მას რაღაცა სხვა ინტერესი აქვს“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

„ის განცხადება, რომელიც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა, არც დემოკრატიის, არც პოლიტიკური ეთიკის და არც თავისუფლების იდეების ჭრილში არ ჯდება, რომ არაფერი არ ვთქვათ იმაზე, ეს არ ჯდება ისტორიის ადეკვატურ შეფასებაში“.

სპეცოპერაცია სააკაშვილის ციხიდან გამოსაყვანად გრძელდება და მალე გავიგებთ, თუ რამდენი მილიონი დაჯდა. მისი თქმით, ჯერ BLOOMBERG ჩააცივდა ზურაბიშვილს სააკაშვილის თემით, შემდეგ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირი ტექსტით მოსთხოვა მისი გათავისუფლება.

ანალიტიკოს **ვაჟა ბერიძის** შეფასებით, ძალიან ძნელი საპროგნოზოა დაექვემდებარება თუ არა ზეწოლას ზურაბიშვილი, რომელიც მას აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრიდან, ასევე ქვეყნის გარედან უცხოური ძალების მხრიდან და პარალელურად, ის არის ხელისუფლების მიერ შერისხული.

„ანუ, ფაქტობრივად, ის ძალა განუდგა ძვირფას სალომეს, რომელმაც დიდი ტანჯვა-ვაებით მოიყვანა პრეზიდენტის პოსტზე. ეს სპეციფიკა მას აიძულებს, რომ ანგარიში გაუწიოს ამ ზეწოლას. იმიტომ, რომ ახლა ქალბატონი სალომე თავისი ცხოვრების სოლიდურ ასაკშია. მისი პოლიტიკური მომავალი საქართველოში უპერსპექტივოა, შეიძლება ოპოზიციურ ფლანგზე მანევრებით რაღაც ფუნქცია შეიძინოს, მაგრამ რეალურად ელექტორალური მხარდაჭერა არ ექნება. ამიტომ, თუ მას სურს პოლიტიკური ცხოვრება გაიხანგრძლივოს და გააგრძელოს პოლიტიკური მოღვაწეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მათ და არ გამოვრიცხავ, რომ ადრე თუ გვიან გადაამიჯოს საკუთარ თავს.

მას პიროვნულადაც რთული ურთიერთობა აქვს სააკაშვილთან, როელმაც ჯერ ჩამოიყვანა, საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა და შემდეგ გააძევა სამსახურიდან. საკმაოდ მძიმე ურთიერთობები ჰქონდა სააკაშვილთან და მხოლოდ ამის გამო არ იწყალებს, თან რთული შესაწყალებელია. გარდა წარდგენილი ბრალდებისა, იმდენ კრიმინალურ და იურიდიულ გადაცდომაზე შეიძლება მოედავოს ხელისუფლება, რომ ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდება“, – ამბობს ბერიძე.

ანალიტიკოსის განცხადებით, ზეწოლა არის და იქნება საქართველოს ხელისუფლებაზე, თუმცა თუ კლასიკურად მივუდგებით თემას, ყველა მოწოდება, რომ სააკაშვილი გაანთავისუფლოს საქართველოს ხელისუფლებამ, არის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც შენი მართლმსაჯულების სისტემას დასავლეთი არაერთგვაროვნად აღიქვამს და მთლიანობაში არ ენდობა, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მოწოდებები ცალკეული პიროვნებების შეწყალებაზე, თუ მსჯავრის გადახედვაზე არის ბუნებრივი.

„ამ შემთხვევაში ის უფრო მადარდებს, რომ ევროპაში გაზრდილი პოლიტიკოსის და დიპლომატის გამოისობით, ფაქტობრივად, ჩვენი კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდად იქცეს. თუ კონსტიტუციას არღვევს კონსტიტუციის და კანონიერების გარანტი პრეზიდენტი, აბა, რაღაა იმ კონსტიტუციის ფასი?!

მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზეზით მოქმედებს ასე, შეიძლება რაღაცა ზემაღალი იდეალებიდან ამოდიოდეს, მაგრამ ფორმალურად, ყველა შემთხვევაში, იმ კონსტიტუციის დარღვევა, რომლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პრეზიდენტის საგარეო აქტიურობები შეთანხმებული და ნებადართული უნდა იქნას მთავრობის მიერ, ასე უნდა იმოქმედოს საერთაშორისო არენაზე. რაც არ უნდა იძახოს, რომ ამ ხელისუფლების კურსი არ მიდის ევროპისკენ და ამიტომ არ ვეკითხები მთავრობას არაფერსო, ეს არის კონსტიტუციის დარღვევა და შეურაცხყოფა!

თამთა ქარჩავა

ამომრჩეველს წინ ვერავინ დაუდგება!

ზაალ ანჯაფარიძე: სალომე ზურაბიშვილი ევროპული სამრეკლოდან უყურებს ყველაფერს და რომც შეიქმნას კოალიციური მთავრობა, ამით პოლარიზაცია ბოლომდე ვერ დაიძლევა

„ვერ ვიტყვი, რომ კოალიცია იქნება პოლარიზაციის დასასრული, მეტიც, ის შეიძლება ახალი პოლარიზაციის დასაწყისი გახდეს“, – ასე აფასებს ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში **ზაალ ანჯაფარიძე** საქართველოს პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებას იმის შესახებ, რომ თუ არ იქნება მკაფიო უმრავლესობა და გვეყოლება კოალიციური მთავრობა, ეს იქნება პოლარიზაციის დასასრული.

ზაალ ანჯაფარიძე: საქართველოს არა აქვს კოალიციური მთავრობის პირობებში, ქვეყნის მართვის გამოცდილება. გამორიცხულია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კოალიცია შეუქმნას „ნაციონალურ მოძრაობას“, „ლელოს“ და სხვა პარტიებს. იმ შემთხვევაში თუ ოპოზიციამ აიღო იმდენი ხმა, რომ შეძლო კოალიციის ჩამოყალიბება, დიდი ალბათობით, წარმოიქმნება სერიოზულ უთანხმოებები. ასევე საკითხავია, კოალიციური მთავრობა რამდენ ხანს გაძლებს. ამიტომ, კოალიციის ფორმირება რამდენად იქნება პოლარიზაციის დასასრული, გაუგებარია.

– ბატონო ზაალ, პრეზიდენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ დროა, საქართველომ ქვეყნის მართვა კოალიციური მთავრობის პირობებში გამოცადოს. სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, ეს იქნება პოლარიზაციის დასასრული, რადგან ჩვენ მოგვიწევს ვისწავლოთ ერთმანეთთან მუშაობა და ქვეყნის ერთად მართვა. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა „ევროაქტივთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომელიც მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

– თუ გავითვალისწინებთ ევროპის გამოცდილებას, რაც გვქონდა 80-იანი წლების იტალიაში, როდესაც მთავრობები ერთი მეორის მიყოლებით იშლებოდნენ და ხელახალი არჩევნები ტარდებოდა, თუ საქართველოშიც მსგავსი სცენარი განმეორდა, გამოცდილება დაგროვდება და ეს შეიძლება რაღაც შედეგამდე მივიდეს, მაგრამ ეს პერიოდი ხომ უნდა გამოიაროს ჩვენმა სახელმწიფომ?! რამდენად გაუძლებს ჩვენი სახელმწიფო ისეთ კატაკლიზმებს, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი იყოს?! – ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ და ალბათ, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივდიოდეთ კოალიციური მთავრობის ცხოვრების პირობამდე. თუმცა, მეორე საკითხია, საპარლამენტო მოდელი ის საუკეთესო ვარიანტია, რაც საქართველოს სჭირდება?! კოალიციური მთავრობა პანაცეა ხომ არ არის?! გასაგებია, რომ სალომე ზურაბიშვილი ევროპული სამრეკლოდან უყურებს ყველაფერს. ეჭვი მეპარება მსგავსი რამ მოხდეს და რომც შეიქმნას კოალიციური მთავრობა, ამით პოლარიზაცია ბოლომდე ვერ დაიძლევა.

– ბოლო პერიოდში, აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ სალომე ზურაბიშვილი შესაძლოა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინოს. რამდენად არის ეს შესაძლებელი, დღეს არსებული ვითარების ფონზე?

– სალომე ზურაბიშვილი ლიდერადაც რომ მოგვევლინოს, ჯერ დანარჩენი ოპოზიციის ლიდერები უნდა შეთანხმდნენ, რომ ზურაბიშვილი იყოს ყველას ლიდერი. მას პრეზიდენტობის ვადა ეწურება და როდესაც ის წავა, დაკარგავს იმ სახელისუფლებო ქარიზმას და მიზიდულობას, რაც მას ახლა აქვს პრეზიდენტობიდან. ბოლომდე ვერ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რაც ექსპერტულ წრეებში არსებობს, რომ თითქოს ზურაბიშვილი ოპოზიციის გაერთიანებულ ლიდერად მოგვევლინება.

– თქვენ პირადად როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ ქვეყანაში პოლარიზაცია დასრულდეს?

– პოლიტიკურმა პარტიებმა უარი უნდა თქვან ისეთი ქმედებების განხორციელებაზე, რაც პოლარიზაციას ხელს შეუწყობს. მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი უნდა თქვას არაადეკვატურ და კანონთან შეუთავსებელ განცხადებების გაკეთებაზე, საპატიმროების უპირობო გათავისუფლებაზე. ოპოზიციამ უარი უნდა თქვას არჩევნების და საარჩევნო კომისიის წინასწარ დისკრედიტაციაზე და მისდამი უნდობლობის დათესვაზე. არასამთავრობო სექტორმა უარი უნდა თქვას რადიკალური პოზიციის დაკავებაზე. ასევე, ხელისუფლებამაც გადადგას ნაბიჯები სამოქალაქო სექტორთან და ოპოზიციასთან მიმართებაში. უნდა მოხდეს ისეთ საკითხებზე კონსენსუსი, რაზეც ეს მიღწევადია.

– ოპოზიციურ სექტორში და გარკვეულ ანალიტიკურ წრეებში აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ვადით ხელისუფლებაში დარჩენა, ეს იქნება ქვეყნის განვითარების კუთხით, უკან გადადგმული ნაბიჯი...

– ყველაფერს წყვეტს ამომრჩევლის ნება-სურვილი. მესმის, რომ მსგავსი განწყობა არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც. როგორც ჩანს, გარკვეულ წრეებს იქაც არ უნდათ, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ დარჩეს, მაგრამ ეს არის ამომრჩევლის ნება და ამას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. მთავარია, ამომრჩევლის ნების გამოხატვა მოხდეს სამართლიან საარჩევნო გარემოში.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

თამარ კიკნაძე: არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საქართველო დასავლეთის ფოკუსში მოექცა!

მზადება 2024 წლის არჩევნებისთვის დაწყებულია და საქართველოს ევროკავშირის ქვეყნების ყურადღების ფოკუსში იმყოფება. ევ-ს წევრი ქვეყნის ელჩების შეხვედრა ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან უკვე დაიწყო. ისინი ხვდებიან, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლებს, ასევე მმართველ გუნდს. ელჩებთან შეხვედრაზე პირველები „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები **ლევან ხაგეშვილი** და **პეტრე ცისკარიშვილი** იმყოფებოდნენ. მათი თქმით, ელჩებს უთხრეს, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების სხვადასხვა მეგზერკეტი აქვს და ამიტომ ამ არჩევნებზე ბევრი დამკვირვებლის ჩამოსვლაა აუცილებელი.

ელჩები ამ დღეებში სხვა ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდებიან. ასევე, არ არის გამორიცხული ეუთო-ოდირის გარდა საქრათველოში არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე სხვა სადამკვირვებლო მისიებიც ჩამოვიდნენ.

მმართველი გუნდი კი ამბობს, რომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა ოდირის და სხვა ორგანიზაციის დამკვირვებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დააკვირდნენ საქართველოს არჩევნებს.

ანალიტიკოსი **თამარ პიკნაძე** ამბობს, რომ მსოფლიოში დღეს ისეთი პროცესები მიდის, საქართველო კავკასიის რეგიონში საკვანძო ქვეყანაა, ამიტომ დასავლეთისთვის საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ოპოზიცია სულ გაიძახის, რომ „ოცნების“ ხელისუფლება პრორუსულია და ამიტომ დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ყურადღება კიდევ დამატებით იზრდება. მათ უნდათ, რომ ქვეყნის პროდასავლურობის კურსის შენარჩუნება გარანტირებული იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ამის კონსტანტირებას ყველგან და ყოველთვის ახდენს, ამ რიტორიკის გამო, ივივე არასამთავრობო სექტორის მხრიდან, შედეგად ვიღებთ იმას, რომ არჩევნების მიმართ ყურადღება მაქსიმალურად არის გაზრდილი. ასევე, ამ მოცემულ 9-პუნქტიან რეკომენდაციაშიც არის ეს მითითება მოცემული. ჩემი აზრით, სწორედ ეს მიზეზებია, რის გამოც საქართველოს მიმართ ყურადღება ასეა გაზრდილი“, – ამბობს **კიკნაძე**.

თავად ამ პროცესის მიმართ ატეხილი ასეთი აჟიოტაჟი არ არის ჯანსაღი. ანალიტიკოსი ამბობს, რომ აბსურდია და არაფერი სჭირს ჩვენს ხელისუფლებას მსგავსი, რომ არჩევნებამდე 6 ან 8 თვით ადრე დამკვირვებლები ჩამოდიოდნენ.

„ის რიტორიკა, რაც ოპოზიციას აქვს, საზოგადოების არჩევნების გაყალბებისთვის მზადებაა. რაც არ უნდა კარგად ჩატარდეს, არჩევნები, ისინი უკვე ემზადებიან იმის სათქმელად, რომ ის ხელისუფლებამ გააყალბა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ოპოზიციას არა აქვს რესურსი ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდეს. ამიტომაც მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უნდათ. ამ პროცესის ირგვლივ ასეთი ხელოვნური აჟიოტაჟის შედეგად, ცდილობენ მოსახლეობას და ჩვენს პარტნიორებს „ოცნების“ მიმართ უნდობლობა ჩამოუყალიბონ. შესაძლოა, ხელისუფლებამ ყველაფერი მაღალ დონეზე ჩაატაროს, მაგრამ როდესაც მსგავსი განცხადებები ოპოზიციისგან მუდმივად კეთდება, ისინიც ეჭვდებიან მერე. მიზანმიმართულად ხდება ასეთი სურათის დახატვა. არადა, ჩვენი მოსახლეობისთვის ამ ხელისუფლების ალტერნატივად ოპოზიცია კატეგორიულად მიუღებელია. ძირითადად, „ნაციონალური მოძრაობა“, ყველაზე მწარედ ახსოვს ჩვენს ხალხს. ამიტომ მათი უკან ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია. ვინც გინდა ჩამოიყვანონ და რამდენიც არ უნდა დააკვირდნენ, ამ არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვთ და ეს ყველა კვლევიდანაც კარგად ჩანს“, – ამბობს **კიკნაძე**.

მისივე თქმით, საზოგადოება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რათა რაღაც დესტრუქციის და არეულობის მცდელობის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. მისი აზრით, განწირული ოპოზიცია ყველაფერს იკისრებს იმისთვის, რომ ხელისუფლება როგორმე ხელთ იგდოს.

„გაჩნია, ასევე, როგორ პოზიციას დაიჭერს დასავლეთი. ძირითადად, არჩევნების ლეგიტიმაცია დასავლელი პარტნიორების მხრიდან უნდა მოხდეს. ამიტომ მათი პოზიციაც საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება. იმედია, აქ ადრე ჩამოსული დამკვირვებლები თავადვე მიხვდებიან, რომ ამ ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლის შანსები არა აქვს“, – ამბობს **კიკნაძე**.

ლიკა ბერიკაშვილი

შოვის ტერიტორიაზე ცხოვრება აღარ შეიძლება!



შოვში, სტიქიის გავრცელების არეალში ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული შენობების ფუნქციონირება დაუშვებელია – ასეთია გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაცია, რომელიც სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული გასული წლის აგვისტოში, შოვში მომხდარი სტიქიის შეფასების ანგარიშშია აღნიშნული. სპეციალისტების აზრით, ამ ტერიტორიაზე ცხოვრება აღარ შეიძლება. შესაბამისად, კურორტის განვითარების გენგეგმა, რომელიც ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე დაამტკიცეს, უნდა გაუქმდეს.

ეროვნული სააგენტოს შეფასების დოკუმენტის მიხედვით, რეკომენდებული არ არის მდინარე ბუბისწყლის ხეობაში ღვარცოფების ფორმირებისა და ტრანზიტის ზონის არეალში რაიმე სახის კაპიტალური დამცავი ღონისძიებების გატარება.

ამასთან, მდ. ბუბისწყლის ხეობაში და კურორტ შოვის სტიქიის გავრცელების არეალისათვის უნდა შემუშავდეს გადაადგილების წესები და მოეწყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული მყინვარული ხეობებიდან მომდინარე საფრთხის შედეგად შესაძლო ადამიანთა მსხვერპლი და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ეკონომიკური ზარალი, საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარული ხეობების ქვემო წელში არსებული დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურის საფრთხეების შეფასება (რისკების ზონირება), არსებული დასახლებული პუნქტების იდენტიფიცირება და შესაბამისი პირველადი რეკომენდაციების მომზადება.

„ზოგადად მსგავსი ტიპის ხეობებში, ტექნიკურად, კაპიტალური დამცავი ღონისძიებების გატარება ანალოგიური მასშტაბის პროცესებზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ დროისთვის საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ გზას, ადამიანთა და ინფრასტრუქტურის დასაცავად, ტერიტორიის სივრცითი დაგეგმარება წარმოადგენს“, – წერია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, **ოთარ შამუგია** ამბობს, რომ შოვში, სტიქიის არეალში ინფრასტრუქტურის განვითარება დასაშვები არ არის.

კიდევ უფრო მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ სპეციალისტები. მათი შეფასებით, შოვის ტერიტორიაზე ცხოვრება არ შეიძლება. კომპანია „გეოგრაფიკის“ დამფუძნებლის **გიორგი გოცირიძის** თქმით, აქამდე არსებული ინფორმაცია საკმარისი არ იყო იმის დასადგენად, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის მასშტაბების რისკი წინასწარ ყოფილიყო ცნობილი.

„ახლა გახდა ცნობილი, რომ ასეთი მასშტაბის პრობლემა შეიძლება არსებობდეს. პატარა ღვარცოფები, რომლებიც ჩამოდიოდა წარსულში, ასევე კვლევის მიდგომები, არ იყო საკმარისი, რომ ეს თავიდან აგვერიდებინა.

გუნებრივი კატასტროფა, რომელიც მანდ დაიწყო, იმაზე გევრად დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს შეეძლო წარმოდგენა. მანამდე მცირე პროცესები ყოველთვის იყო, რომელიც ასევე ყოველთვის ექვემდებარებოდა მართვას, ახლა უფრო დიდი პროცესები დაიწყო, რისთვისაც არ ვართ მზად, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყანაც“.

გიორგი გოცირიძე ასევე აღნიშნავს, რომ წინასწარი განგაშის სისტემები გამოსავალი არ არის და იქ, სადაც მათი საჭიროება არსებობს, ადამიანისთვის დაძინება საერთოდ არ შეიძლება.

„ადრეული შეტყობინების და განგაშის სისტემები არ არის პანაცეა, არ არის გამოსავალი, საზოგადოებამაც უნდა გაიაზროს და გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა, რომ სადაც ადამიანი იძინებს, ის ადგილი არ შეიძლება სისტემაზე იყოს დამოკიდებული. სისტემა უნდა გქონდეს, რა თქმა უნდა, მაგრამ იქ, სადაც რისკი არსებობს, საერთოდ არ უნდა დაიძინო, ხოლო თუ არ გვაქვს ჯერ რისკი გამოკვლეული, კარგად უნდა გამოიკვლიო, ოღონდ ახალი მიდგომებით, რომლებსაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები გვთავაზობენ“, – ამბობს **გიორგი გოცირიძე.**

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების თავმჯდომარის **ნინო ჩხობაძის** მოსაზრებით, კურორტის გენგეგმა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შოვის სტიქიის შესახებ მომზადებული შეფასების დოკუმენტის საფუძველზე უნდა გაუქმდეს. როგორც გარემოს დამცველმა აღნიშნა, სტიქიის არეალში შოვის გენგეგმის მიხედვით, იურიდიულად, მშენებლობები დაშვებულია, მაგრამ დასკვნის დოკუმენტი ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს დაუშვებლად მიიჩნევს.

„დასკვნაში ნათლად წერია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც განვითარდა სტიქია, არავითარ შემთხვევაში არანაირი ტიპის ინფრასტრუქტურული მშენებლობა არ შეიძლება. ქართველები უნდა მივეჩვიოთ, რომ როცა ვამბობთ, არ შეიძლება, ესე იგი, არ შეიძლება. თქვენ იცით, რომ სტიქიამდე რამდენიმე თვით ადრე დამტკიცდა შოვის გენგეგმა, რომელიც იურიდიულად დღესაც მოქმედია და შენობების აშენება იქ დღესაც შეიძლება, მაგრამ გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნაში მკაფიოდ წერია, რომ არ შეიძლება მშენებლობა, ვინაიდან კიდევ შესაძლებელია ღვარცოფული ნაკადის ჩამოსვლა, ამ დოკუმენტის საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებული ეს დოკუმენტი აუცილებლად უნდა გაუქმდეს“, – ამბობს **ნინო ჩხობაძე.**

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგებმა მდინარე ბუბისწყლის ხეობაში ჩატარებული საველე კვლევებით დაადგინეს, რომ „მყინვარ ბუბას დასავლეთით ჩამოწოლილი კლდეზვავი მყინვართან შევიდა კონტაქტში. ამ პროცესს მყინვარის ჩამონგრევა და ნაპრალებში არსებული წყლების გადმოდინება მოჰყვა. ზედაპირზე კლდეზვავის ხახუნმა მყინვარი უსწრაფესად გაადნო და წარმოქმნა ღვარცოფი, რომელიც ხეობისკენ დიდი სიჩქარით დაიძრა“.

ღვარცოფული მასა წამში საშუალოდ, 24 მეტრს ფარავდა. ამ გათვლით ღვარცოფულ ნაკადს შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე 7-10 წუთში უნდა მიეღწია. კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ ღვარცოფული პროცესის სისწრაფის გამო განგაშის სისტემა შოვში ეფექტური ვერ იქნებოდა და საფრთხეებსაც ვერ შეამცირებდა.



ევროპის ბევრ ქვეყანაში პროდუქტები უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში!

საქართველოში ინფლაცია თითქმის განულებულია და რიგი საქონელი თითქოს იაფდება, მაგრამ სამომხმარებლო ბაზარს პრაქტიკულად არაფერი ეტყობა. მოსახლეობისთვის მაღალ ნიშნულზე დატოვებული ფასები დიდ პრობლემად რჩება.

შექმნილ მდგომარეობას რეალურად აფასებენ სპეციალისტები. ისინი მთავრობას მაქსიმალური ყურადღებისკენ მოუწოდებენ. ფინანსისტმა, ყოფილმა ვიცე-პრემიერმა **თემურ ბასილიამ** ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ ქვეყანაში საგრძნობლად მაღალი ფასებია ყველა ძირითად პროდუქტებზე.

„საუბარია, რომ ინფლაცია არის ნულის დონეზე საქართველოში, მაგრამ მე ზუსტად 1 წლის წინ ვიყავი ჩამოსული და პირადი შეფასებით შემიძლია ვთქვა, რომ ფასები 30-40%-ით არის გაძვირებული. მოვუწოდებ ყველას, რომ ამ მიმართულებით გაამახვილოს ყურადღება. ყველა ძირითად პროდუქტებზე საკმაოდ მაღალი ფასებია და არანაირი ფაქტორი არ მუშაობს მის შესამცირებლად“, – განაცხადა **ბასილიამ.**

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ ბაზრებზე ფასები საკმაოდ დაბლა ჩამოდის, საქართველოში, პრაქტიკულად, არაფერი იცვლება, თუ არ ჩავთვლით ფასდაკლების აქციებს, რომელსაც სავაჭრო ქსელები დროდადრო მიმართავენ. მოსახლეობას კი დიდი პრობლემა ექმნება გაზრდილი ხარჯის გამო. როგორც ცნობილია, 8 თებერვალს ახალმა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა, რომ სასურსათო პროდუქტი, რომელიც გერმანიაში ღირს 2 ევრო, საქართველოში 19 ლარად იყიდება. მანვე მიუთითა, რომ უნდა გამოიკვლიონ, რით არის აღნიშნული სხვაობა გამოწვეული.

უფრო პრინციპულად ცდილობდა ამ გაუგებრობის გარკვევას **ირაკლი ღარიბაშვილი** და საკმაოდაც წაიწია კიდეც წინ. 2023 წლის დასაწყისში სურსათის ფასების რეგულირებასთან დაკავშირებით კანონპროექტის მომზადება დაიწყო, თუმცა მოულოდნელად, გასული წლის ზაფხულში პროცესი შეჩერდა. რითეილ სექტორში მაღალი ფასების ერთ-ერთ მიზეზად საოპერაციო ხარჯები მიიჩნევა. ამასთან დაკავშირებით რითეილ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ, **სოფო ქაშაკაშვილმა** ისაუბრა და აღნიშნა, რომ სურსათს შესაბამისი ფასი მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო ედება.

„საოპერაციო ხარჯებში დიდი წილი მოდის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებსა და სხვადასხვა ხარჯზე. გარდა ამისა, ჩვენს სექტორს უწევს „ჰასპის“ და სხვა ძალიან ბევრი სტანდარტის დაცვა. ეს ევალება არაორგანიზებულ ბაზარსაც, მაგრამ ისე აქტიურად მათ არ ამოწმებენ. ჩვენ, მაგალითად, შრომის ინსპექცია ყოველ კვირას გვამოწმებს სხვადასხვა საკითხზე. ცოტა უსამართლო მიდგომაა ეს ორგანიზებული ბაზრის მიმართ. არაორგანიზებული ბაზარი კომფორტშია, თან უდიდესი ნაწილი მაინც მათ უჭირავთ. კარგი იქნება, თუ ამასაც მიაქცევენ ყურადღებას“, – აღნიშნა **სოფიო ქაშაკაშვილმა.**

კიდევ ერთ მიზეზად, რის გამოც ძვირდება სურსათი, მან რეგულაციები დაასახელა.

„მუდმივად ახალი რეგულაციები შემოდის, რისი დანერგვაც უწევს სექტორს და ეს, რა თქმა უნდა, დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ნათელია, რომ მაღალი საოპერაციო ხარჯებია, რის გამოც სურსათს ედება შესაბამისი ფასი. კარგი იქნება სამომავლოდ როცა რაიმე რეგულაციას მიიღებენ, წინასწარი მოკვლევა ჩაატარონ, რა ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ეს ბიზნესისთვის და გაითვალისწინონ ჩვენი პოზიცია იმიტომ, რომ პოსტფაქტუმ ხდება მერე ყველაფრის განხილვა“, – განაცხადა **ქაშაკაშვილმა.**

იმპორტიორთა ერთი ნაწილი ადასტურებს, რომ სადისტრიბუციო კომპანიები როგორც საცალო ბაზარს, ასევე სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესსაც მინიმუმ 8-10%-იანი ფასდაკლებით აწვდიან პროდუქციას, მაგრამ ეს სარეალიზაციო ფასებზე არ აისახება.

„ევროპიდან შემოსული პროდუქტები გაიაფდა კიდეც, რასაც ბიზნესი არაადეკვატურად პასუხობს. როგორც მაღაზიებს, ასევე ჰორეკა სექტორს 8-10%-ით ნაკლებ ფასში ვაწვდით პროდუქციას იმასთან შედარებით, რაც შარშან ღირდა, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს სხვაობა არსად ჩანს. ამიტომ, როცა მეკითხებით, რატომ არ იაფდება სურსათი, მომხმარებლის წინაშე ორივე სექტორი სცოდავს“, – განაცხადა იმპორტიორმა **მამუკა კვერნაძემ.**

მაღალი ფასების შენარჩუნებისა და შიგადაშიგ სხვადასხვა მომსახურების გაძვირების ფონზე, ინფლაცია მცირდება. ოფიცილური სტატისტიკით, 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, ბოლო ერთ წელიწადში საქართველოში ინფლაციის დონემ 0.4% შეადგინა. ეს რიცხვი ემთხვევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მაჩვენებელს. 0.4%-იანი წლიური (12 თვის) ინფლაციის დონით საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილზეა 166 ქვეყანას შორის, ანუ უფრო დაბალი ინფლაცია 11 ქვეყანაშია, ხოლო 154 ქვეყანაში უფრო მაღალი ინფლაციაა.

ბექა დანელია

იტალიის ელჩი კულტურის სამინისტროს ეწვია...

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მასიმილიანო დ'ანტუონომ გაცნობითი შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ გაღათურია, მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი ნიკა ახალგედაშვილი და იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილე ფაბიოლა ალბანეზე ესწრებოდნენ.

მხარეებმა კულტურისა და სპორტის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო ერთობლივ პროექტებზე იმსჯელეს.

ორივე მხარემ კულტურისა და სპორტის სფეროში ურთიერთობისა და მრავალწლიანი მეგობრობის განმტკიცებისთვის მზადყოფნა გამოხატა. შეხვედრის ბოლოს თეა წულუკიანმა მასიმილიანო დ'ანტუონოს წარმატებული დიპლომატიური საქმიანობა უსურვა.

„სამსონი და დალილას“ პრემიერა... 80 წლის შემდეგ

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გაიმართა პრემიერა კამილ სენ-სანსის ყველაზე პოპულარული ოპერისა „სამსონი და დალილა“. წარმოდგენას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

მონტე-კარლოს ოპერის თეატრის ეს ულამაზესი სპექტაკლი გამოჩენილმა ფრანგმა რეჟისორმა ჟან-ლუი გრინდამ დადგა. 40-წლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მან დადგა ისეთი საინტერესო სპექტაკლები, როგორიც არის: „ტრავიატა“, „ერნანი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ჯამბაზები“, „ღამურა“, „ტანჰოიზერი“, „ჰოფმანის ზღაპრები“, „კარმენი“, „მეფისტოფელი“, „ფალსტაფი“, „ვილჰელმ ტელი“, „ლუჩია დი ლამერმური“, „ბოჰემა“, „ტაისი“, „თურქი იტალიაში“, „ვერთერი“, „ჯოკონდა“ და სხვა. ჟან-ლუი გრინდა 10 წელი იყო ვალონიის სამეფო ოპერის თეატრის დირექტორი, 15 წელი კი - მონტე-კარლოს ოპერის თეატრის დირექტორი. 2018 წლიდან კი იგი ორანჟის ფესტივალის დირექტორია.

აგოსტინო არივაბენეს მიერ შექმნილი საუცხოო დეკორაციები, იდუმალი ტაძრის ატმოსფერო, მრავალფეროვანი და ძვირფასი კოსტიუმები, ლორან კასტენის საოცარი განათება და შუქის ეფექტები, ეუენი ანდრენის ქორეოგრაფია აღმოსავლეთს სიურრეალისტური, ზღაპრული სახით წარმოგვიდგენს.



სპექტაკლში „სამსონი და დალილა“ მონაწილეობენ თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები, მოწვეული მომღერლები, გუნდი, ორკესტრი და საბალეტო დასი. დამდგმელი დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი, დირიჟორები - ლევან ჯაგაევი და კახი სოლომნიშვილი.

კამილ სენ-სანსმა 13 ოპერა დაწერა, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი შემორჩა მსოფლიოს საოპერო თეატრების რეპერტუარს. „სამსონი და დალილა“ ძველი აღთქმის სიუჟეტს ეფუძნება. მისი ლიბრეტო ფერდინანდ ლემერს ეკუთვნის. ოპერის პრემიერა 1877 წლის 2 დეკემბერს ვაიმარში შედგა, მისი პარიზული პრემიერა კი „გრანდ ოპერაში“ 1892 წლის 23 ნოემბერს გაიმართა. დღეს „სამსონი და დალილა“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპერაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე საოპერო თეატრების სცენებზე, დალილას პარტია კი ყველა მეცო-სოპრანოს საყვარელი და საოცნებო პარტიაა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ოპერის სცენაზე „სამსონი და დალილა“ პირველად 1894 წელს - 130 წლის წინ დაიდგა, ბოლოს კი ეს სპექტაკლი ქართველმა მაყურებელმა თეატრში 80 წლის წინ – 1944 წელს ნახა.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე სპექტაკლის ნახვას მაყურებელი 23, 24, 25 თებერვალსა და 1, 2, 3 მარტს შეძლებს.

სალომე დემურია „ევროპელი ამომავალი ვარსკვლავია“!

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ევროპული კინოს ხელშეწყობის“ ერთ-ერთი საკონკურსო პროგრამის – Europe Shooting Starsის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის მიერ წარდგენილ მსახიობს, სალომე დემურიას, ჯილდო – „ევროპელი ამომავალი ვარსკვლავი“ 19 თებერვალს გადასცეს. საზეიმო ღონისძიებას ქართული დელეგაციის წევრები დაესწრნენ.

ქართველი მსახიობი კონკურსისთვის კინოინდუსტრიის საერთაშორისო ექსპერტების ჟიურიმ 2023 წლის ათ ევროპელ ტალანტს შორის გამოარჩია და ის რუსუდან გლურჯიძის ფილმში – „ანტიკვარიატი“ – შესრულებული როლისთვის ევროპული კინოს „ამომავალ ვარსკვლავებს“ შორის დაასახელა.

კინოფესტივალის მსვლელობისას მსახიობს, უცხოელ კოლეგებთან ერთად, შესაძლებლობა აქვს, პირისპირ შეხვდეს კინოინდუსტრიის ცნობილ წარმომადგენლებს.

„ევროპული კინოს ხელშეწყობა“ საერთაშორისო ქსელია, რომელიც 37 ქვეყნის კინოორგანიზაციებს აერთიანებს. მათ შორის არის საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი. ევროპულ კინობაზრობაზე საქართველოს დელეგაცია, რომელსაც კინოცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კობა ხუბუნაია ხელმძღვანელობს, კიდევ არაერთ მნიშვნელოვან შეხვედრას გამართავს პროდიუსერებთან, კომპანიების, კინოთეატრების, ონლაინპორტალებისა თუ საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან.

სოფო ბაბლუანი: ქართული კინოსადმი ინტერესი ევროპაში დღეს ძალიან დიდია!

ქართული კინოსა და საქართველოს მიმართ ინტერესი ევროპაში დღეს ძალიან დიდია, – ამის შესახებ ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო წარმომადგენელმა ევროპაში, **სოფო ბაბლუანმა** „ბერლინალედან“ ჩართვისას განაცხადა.

სოფოს თქმით, მისი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ ქართული კინოინდუსტრიის განვითარებაში ძალიან კონკრეტული სახით მიიღოს მონაწილეობა. მან განმარტა, რომ საჭიროა, საქართველოსთან რაც შეიძლება მეტი ერთობლივი პროდუქტის შექმნა.

„საქართველოს ძალიან სჭირდება უცხოელი პარტნიორები და ეს უცხოელი პარტნიორები გვაძლევენ საშუალებას, რომ ქართული კინო საერთაშორისო ასპარეზზე იყოს. ვფიქრობ, ძალიან კონკრეტული ფუნქცია მაქვს და ეს არის სწორედ კავშირების შექმნა, რაც დღეს ქართულ ინდუსტრიას ასე ძალიან სჭირდება“, – განაცხადა **სოფო ბაბლუანმა.**

15-25 თებერვალს ბერლინში იმართება 74-ე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის მიმდინარეობისას, 15-21 თებერვალს, ტარდება ევროპული კინოს ბაზრობა. ბაზრობაზე ეროვნული კინოცენტრი, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და „ჯორჯიან ეარვეისის“ მხარდაჭერით, ტრადიციულად, საქართველოს სტენდით არის წარმოდგენილი, რომელიც წარმოაჩენს ქართული კინოს უმდიდრეს მემკვიდრეობას, წარადგენს ახალ პროექტებს, პოპულარიზაციას უწევს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში კინოგადაღებებისთვის უმნიშვნელოვანეს ქვეყანას.

ქართულ-აფხაზური სინდისი და ღირსება – რაულ ეშბა და სვეტლანა ქეცბა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია – „გულანის“ ერთობლივი ორგანიზებით, საქართველოს მწერალთა სახლში აფხაზი თანამემამულეების – რაულ ეშბასა და სვეტლანა ქეცბას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სიუჟეტი რაულ ეშბასა და სვეტლანა ქეცბას ცხოვრებასა და საქართველოს წინაშე მათ ღვაწლზე, პატრიარქის ნათლულთა გუნდმა „საგალობელი“ და ანსამბლმა „ნართები“ შეასრულეს რამდენიმე სიმღერა ქართულ და აფხაზურ ენებზე, ხოლო მოწვეულმა მწერლებმა წარმოადგინეს რაულ ეშბასა და სვეტლანა ქეცბასადმი მიძღვნილი ლექსები.

მოწვეულ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ, საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებმა.

„ღონისძიებაზე წარმოდგენილი სიუჟეტის ემოციების გარეშე ყურებაც ჩემთვის პირადად ძალიან რთულია, რადგან იგი ჩემი ბავშვობის ტრაგიკულ ისტორიასა და უზომოდ საამაყო ორ დიდებულ ადამიანს უკავშირდება.

ქალბატონი სვეტლანა ქეცბა საოცარი ბუნების, უბრალო, ნაზი, თბილი, მართლაც, რომ გამორჩეული ადამიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მე პატარა ვიყავი, კარგად მახსოვს მისი ფაქიზი და უთქმელი სითბო.

ბატონ რაულ ეშბაზე საუბრისას კი მხოლოდ აღმატებული ტერმინისა და ტონის გამოყენება შეიძლება. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ის არის ქართულ-აფხაზური ნამუსის, ღირსების, სინდისის, დიდების, პატიოსნების და ამ ღირებულებების გადარჩენის სიმბოლო, ისტორიული გმირი, რომელმაც ჩვენს ერთობას შესწირა თავი და მისი ხსოვნა მარადიული უნდა იყოს.

დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ღონისძიებას დაესწრო და ჩვენთან ერთად გაიზიარა ეს დღე, როცა პატივი მივაგეთ ქართულ-აფხაზური საზოგადოების ნამდვილ გმირებს, სამაგალითო ადამიანებს, რომლებმაც თავისი გული, სული და სიცოცხლე შესწირეს ჩვენს ისტორიას.

მე მჯერა, მსგავსი საღამოები არის ერთ-ერთი წინაპირობა იმის, რომ ჩვენი ერთობა გარდაუვალია, ქართველები და აფხაზები მალე ისევ ერთად ვიქნებით, ეს გოლგოთის გზა მალე სიყვარულით და მშვიდობით დასრულდება!“ – თქვა **დავით ფაცაციამ.**

რუსი მფრინავი ესპანეთში გარდაცვლილი იპოვეს

რუსი მფრინავი მაქსიმ კუზმინოვი, რომელმაც 2023 წელს უკრაინაში რუსული სამხედრო ვერტმფრენი დასვა და უკრაინულ მხარეს ჩაბარდა, ესპანეთში გარდაცვლილი იპოვეს, – ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ქვეყნის სამხედრო დაზვერვაზე დაყრდნობით ავრცელებს. 2023 წლის აგვისტოში რუსული სამხედრო ვერტმფრენი **Mi-8** უკრაინის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე დაეშვა. უკრაინის სამხედრო დაზვერვაში მაშინ განაცხადეს, რომ ეს იყო სპეცოპერაციის შედეგი, რომელიც 6 თვეზე მეტხანს გრძელდებოდა.

რუსეთში აშშ-ის მოქალაქე დააკავეს

რუსულმა ФСБ-მ ეკატერინბურგში აშშ-ისა და რუსეთის ორმაგი მოქალაქე დააკავა. 33 წლის ქალს რუსეთი „ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ" მიმართულ ქმედებებში ადანაშაულებს. ქალის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სამშობლოს ღალატის მუხლით დაიწყო. დაკავებულს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის თებერვლიდან, ანუ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის დაწყებიდან, ეჭვმიტანილი „აგროვებდა თანხებს ერთ-ერთი უკრაინული ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე", რომელიც სავარაუდოდ გამოიყენებდა „ტაქტიკური მედიცინის ნივთების, ტექნიკის, იარაღისა და საბრძოლო მასალის" შესაძენად უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის. ФСБ ქალს აშშ-ში, უკრაინის მხარდამჭერ აქციებში მონაწილეობასაც ედავება.

კანადა უკრაინას 800 უპილოტო საფრენ აპარატს გადასცემს

ამის შესახებ განცხადება კანადის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა, **ბილ ბლერმა** გააკეთა.

„უპილოტო საფრენი აპარატები გაჩნდნენ, როგორც კრიტიკული შესაძლებლობები უკრაინისთვის რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ უპილოტო საფრენი აპარატებით უკრაინის ჯარები შეძლებენ მეტი სიტუაციური ცნობიერებისა და ინფორმაციის შეგროვებას, რათა შეაფასონ სამიზნეები უფრო სწრაფად და ზუსტად", – აღნიშნა კანადის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა.

ბილ ბლერის თქმით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან ორი წლის გასვლის პარალელურად, კანადა მტკიცედ დგას უკრაინის გვერდით თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაცავად.

ა.ა.ი.პ. საქართველოს დიაბეტის ფონდის 2023 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

ა.ა.ი.პ. **საქართველოს დიაბეტის ფონდი** (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

საქართველოს დიაბეტის ფონდის საქმიანობა 2023 წ. მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. დიაბეტიანი მოსახლეობისათვის (ძირითადათ მოზრდილები) სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას;
2. დიაბეტიანებისთვის ანტიდიაბეტური მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარების გაწევას;
3. პაციენტების სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობას;
4. მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას;

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდებოდა კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან და დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული სახსრებიდან.

1. საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი პაციენტებისთვის სამედიცინო გამოკვლევები მოიცავდა ლაბორატორიულ (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა) და თვალის სრულ გამოკვლევებს (თვალის ფსკერის გამოკვლევას ფუნდუს კამერით, თვალის რეფრაქტომეტრული გამოკვლევას, თვალის წნევის გაზომვას ,სათვალის შრჩევას და სხვ.).

2. დიაბეტიანი პაციენტებისათვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა ფონდის მარაგში არსებული ინსულინის და შპრიც-კალმისტრების დარიგებას; აგრეთვე საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრები, საანალიზო ჩხირები და სხვ.) გაცემას, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე არარეზიდენტი დიაბეტიანი პაციენტებისთვის.

3. ფონდი დიაბეტურ სკოლაში ახორციელებთა დიაბეტური განათლების მიცემას ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც ლექციებს ატარებდნენ ენდოკრინოლოგიის აღიარებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ფონდმა დაბეჭდა და უფასოდ დაურიგა დიაბეტიან ბავშვებს და მოზრდილებს სასწავლო-სამაგიდე წიგნი „დიაბეტის მართვა", რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს დიაბეტიანი ბავშვების მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირებს.

4. მრავალი წელია ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელთაც სახლში ყავთ დიაბეტიანი და ასევე სხვა ნოზოლოგიის შშმ პირები.

საანგარიშო პერიოდში ზემოთაღნიშნული მომსახურება და დახმარება გაეწია ათეულობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზრდილ პაციენტს, რომლის დეტალური ანგარიში სრული საფინანსო ინფორმაციისათვის (იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები) წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

აიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლისთვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში — წლიური

№№	**შემოსავლები**	2022	2023
1	შეზღუდვისგან განთავისუფლებული ფონდი ძირ.		
2	დროებით შეზღუდული ფონდი		
3	შესრულებული სამუშაო	93674.11	46268.87
4	საპროცენტო შემოსავლები	84141.67	66878.71
5	დივიდენდი	150195.00	
6	კურსთა სხვაობა	0.0	35334.26
7	სხვა შემოსავლები		
	სულ შემოსავლები	**328010.78**	148481.84
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი	392198.65	408035.00
2	II პროექტის ხარჯი (ფონდის გადანაწილება)		
3	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი		
4	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.)		
	სულ ხარჯები	**392198.6**	408035.00
	მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/დეფიციტი)	**-64187.9**	- 259553.16
	განსაკუთრებული მუხლები		
	წმიდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***-64187.87***	***- 259553.16***

II. დროებით შეზღუდული ფონდების ნაწილში

№№	**შემოსავლები**		
1	შემოწირულობა	20	8.8
2	საწევროები	1650.00	
3	ფონდების გადანაწილება		
	სულ შემოსავალი	1670	
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი		
2	II პროექტის ხარჯი	16052.50	14818.72
3	III პროექტის ხარჯი		
	სულ ხარჯები	16052.50	14818.72
	წმინდა შედეგი(ფონდის ზრდა/შემცირება)	***-14382.5***	***-14809.91***

აიპ საქართველოს დიაბეტის ფონდი

ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023	2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1976961.11	1828892.73
ინვესტიციები	1582721.90	1702721.90
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
მატერიალური მარაგი	10295.67	25826.33
დებიტორები	3349.96	10673.37
ავანსები	2749.44	630.34
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	799993.13	1086722.10
სულ აქტივები	4376071.21	4655466.77
ფონდები და ვალდებულებები		
ფონდები		
შეუზღუდავი ფონდი	3698004.32	3957557.48
დროებით შეზღუდული ფონდი	674144.64	688954.55
მუდმივად შეზღუდული ფონდი		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		
საპენსიო ანარიცხები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
კრედიტორები	3922.25	8954.73
მოკლევადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
სულ ფონდები და ვალდებულებები	4376071.21	4655466.77

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ გელხაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.064)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 132547 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 19 თებერვალი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 5 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96225924;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 962259

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;

შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;

შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;

მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;

მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;

სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96225924; ლოტის ნომერი: 962259).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 5 მარტის 12:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲙᲝ�პᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ - ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐ ᲙᲐᲖᲠᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ (ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲙᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐ) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 7 მარტი, 14:00 საათი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ/ეზოში

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **13 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 13 თებერვალი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲡᲘᲞ-ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 თებერვლის დადგენილების №05/01-174 საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.

პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში **2024 წლის 26 თებერვლიდან 2024 წლის 1 მარტის ჩათვლით** 10:00-დან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 61, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №101.

აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება – 2024 წლის 5 მარტიდან არა უგვიანეს 2024 წლის 7 მარტისა;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება – 2024 წლის 11 მარტიდან არა უგვიანეს 2024 წლის 13 მარტისა.

აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილ იქნას არაუგვიანეს 2024 წლის 20 მარტისა.

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ:

ა) უმაღლესი განათლების მქონე;

ბ) ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;

დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;

გ) უნივერსიტეტის შესაბამისი სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა;

დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲖᲨ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ - ᲨᲞᲡ „ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲐᲚ 1“ -ᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ 7 000 $м^3$ ᲢᲕᲔᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ (130 000 $м^3$ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲑᲠᲣᲜᲕᲘᲗ) ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲐᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ (ᲬᲐᲠᲛᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐ) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 29 მარტი, 11:00 საათი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: ლ. ასათიანის ქ. 25).

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **16 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 13 თებერვალი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

ტატამზე

ილია ბაქოში

100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საერთაშორისო რეიტინგის 22 წლის ლიდერი ილია სულამანიძე ზედიზედ მეორედ დაეუფლა ბაქოს პრესტიჟული ძიუდოისტთა გრანდ სლემის ოქროს მედალს.

საამისოდ ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა ზედიზედ დაჯაბნა თურქმენი ბაიმირატ მაიანოვი (2 ვაზარით), რუმინელი ეშლი გონსალესი (იპონით), ყაზახი ისლამ ბაიზბაევი (იპონით), რუსი ნიაზ ბილიალოვი (ვაზარით) და ფინალში – მსოფლიო კლასიფიკაციის პოლონელი 33-ე ნომერი პიოტრ კუჩერა (იპონით).

შეგახსენებთ, რომ მანამდე 57 კილოში ბრინჯაო ეთერ ლიპარტელიანმა დაიმსახურა.

ბრძენთა თამაში

სტიმულის ხიბლი

უპანასკნელ ტურში გაიხსნა მოჭადრაკე მანდილოსანთა 81-ე ეროვნული ჩემპიონატის კვანძი უმაღლეს ლიგაში, რომელიც წრიული სისტემით ქვეყნის რეგიონების 10 წარმომადგენლის მონაწილეობით ევროპის ინდივიდუალურ პირველობაზე გასამგზავრებლად შესარჩევი ტურნირიც გახლდათ.

ლელა ჯავახიშვილი – ნია დოღვანი 1:0, ნინო ბაციაშვილი – ანასტასია კირთაძე 0,5:0,5, მერი არაბიძე – კესარია მგელაძე 1:0. დებულების თანახმად, გამარჯვებულ ლელა ჯავახიშვილსა (7,5 ქულა) და პრიზიორებს – ნინო ბაციაშვილს (7 ქულა) და კონტინენტის მოქმედ გვირგვინოსანს – მერი არაბიძეს (6,5 ქულა) მომავალ ფორუმზე ფედერაცია დააფინანსებს.

ევრობასკეტი

ჯიკიჩის 14 რჩეული

ალექსანდარ ჯიკიჩის გაწვრთნილი ჩვენი ნაკრები 14 წევრით დანიაში ჩაფრინდა, სადაც 2 მოთამაშე – გიორგი შერმადინი და ბექა ბურჯანაძე შეუერთდა. რაც შეეხება იმ 12 კალათბურთელს, რომელიც დანიასთან 23 თებერვლის შესარჩევი მატჩის განაცხადში იქნება, მთავარი მწვრთნელი ხვალ დაასახელებს.

საქართველოს ნაკრები დანიაში სოლიდური დანაკლისით ჩავიდა. მოგეხსენებათ, რომ ალექსანდრე მამუკელაშვილი და გოგა ბითაძე ჩვენს გუნდს ვერ ეხმარებიან, ისევე როგორც ნბა-ს ყველა ევროპელი მოთამაშე თავის ნაკრებს. თუმცა ჩვენს ნაკრებს კიდევ 2 მოთამაშე ტრავმის გამო აკლია – თბილისურ შეკრებაზე იყვნენ, მაგრამ სათამაშო კონდიციაში არყოფნის გამო ნაკრებს დანიაში ვერ გაჰყვნენ დუდა სანაძე და რატი ანდრონიკაშვილი.

ეროვნულ ნაკრებში დაგეგმილზე ადრე ჩავიდა და 2 ვარჯიში ჩაატარა კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ, რომლის გუნდიც იტალიის თასის გათამაშების პირველ წრეში მოულოდნელად დამარცხდა და კაპიტანიც დაუყოვნებლივ ეროვნულ გუნდში გამოემგზავრა. გუშინვე ალექსანდარ ჯიკიჩის განკარგულებაში იყო ჩვენი ნაკრების ახალწვეული ამერიკელი ჯოზეფ (ჯო) ტომასონი, რომელიც ევროლიგის კლუბ „მაკაბიში“ გადავიდა, თუმცა ამას მისთვის საქართველოში ჩამოსვლაში ხელი დიდად არ შეუშლია. ტომასონმა მაკაბიში სადებიუტო მატჩი 14 თებერვალს ითამაშა და ორ დღეში საქართველოში გამოემგზავრა. მან ჩვენს ეროვნულ გუნდში 18 და 19 თებერვალს სრულფასოვანი ვარჯიშები ჩაატარა.

ალექსანდარ ჯიკიჩს სამწვრთნელო შტაბში ჰყავს ანატოლი ბოისა, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილი ჩვენს ნაკრებს დანიაში მონაკოდან შეუერთდება, სადაც, მოგეხსენებათ, ევროლიგის ამავე სახელწოდების კლუბში მთავარი მწვრთნელის, საშა ობრადოვიჩის ასისტენტია. საქართველოს ნაკრები დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენიდან ავტობუსით 40 კილომეტრში მდებარე პროვინციულ ქალაქ ნესტვედში ჩავიდა. 23 თებერვალს მატჩი იქვე, თბილისის დროით 21:30 საათზე გაიმართება, რომლის პირდაპირ ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

კოლექცია

მესამე და სამართალი?

გარსელონასთან ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ საშინაო მერვედფინალურ შეხვედრაში სეზონში ნაპოლის მესამე მთავარი მწვრთნელის – ფრანჩესკო პალცონას დებიუტი შედგება, რომელმაც სლოვაკეთი ევრო – 2024-ზე გაიყვანა.

მას კამპანიურ კლუბში ორჯერ უკვე უმუშავია, ოღონდ გუნდის თავკაცების მაურიციო სარისა (2015-2018) და ლუჩანო სპალეტის (2021-2022) ასისტენტად, იტალიის ჯერაც დე იურე მოქმედი ჩემპიონის მართვის სადავეები კი აურელიო დე ლაურენტისმა პირველად ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა „ახალი ცოცხის“ წინამორბედებს – როგორც რუდი გარსიას, ისე ვალტერ მაძარის ნდობა სერია – ა-ს 12-12 მატჩში გამოუცხადა და ფრანგ სპეციალისტს კოლეგაზე ცოტათი უკეთესი შედეგები ჰქონდა, თუმცა ჯენოასთან საკუთარ მარადონას სტადიონზე დაკარგულმა ქულებმა (1:1) მოთმინების ფიალა აუვსო და მაშველ რგოლს უხმო.

ისიც სათქმელია, რომ ერთ სეზონში სამი დამრიგებლის პრაქტიკა ნეაპოლელებს ცუდად აქვთ დაცდილი, რადგან იმ შემთხვევაში სერია – ა-დან გავარდნენ, თუმცა ამჯერად იმდენი მონაგარი კი აქვთ, რომ მსგავსი საფრთხე არ ემუქრებათ. მოკლედ, გაძლება ვუსურვოთ **ხვიჩა კვარაცხელიასა** და მის დაშლილ ანსამბლს.

კვარცხლბეკზე

ვერცხლის სტარტი



საქართველოს პარა ძიუდოს ნაკრებმა გერმანიაში, ჰაიდელბერგის 2024 წლის გრან პრის გათამაშებაზე წარმატებული სტარტი აიღო. ქართველი სპორტსმენი ლაშა ყიზილაშვილი ჰაიდელბერგი 2024-ის ვერცხლის პრიზიორია.

ჩვენი ქვეყნის ფალავანმა ნახევარფინალურ ბრძოლაში უკრაინელ პარა ძიუდოისტს სძლია, ფინალი კი უზბეკ მოწინააღმდეგესთან დათმო და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ამრიგად, საქართველოს პარა ძიუდოს ნაკრების ანგარიშზე ჯერჯერობით ერთი მედალია.

ხალიჩაზე

უკმარისობის გრძნობით

6 მედალი (1 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) და გუნდურ ჩათვლაში დაკავებული მეორე ადგილი (130 ქულა) – ასეთი მონაგრით დაბრუნდა სამშობლოში ქართველ ფალავანთა დელეგაცია რუმინეთში გამართული ევროფორუმიდან თავისუფალ ჭიდაობაში.

ტურნირის ფინიშზე კარიერაში მეხუთედ გახდა მეორე პრიზიორი 29 წლის ორგზის გვირგვინოსანი **გენო პეტრიაშვილი** (125 კგ), რომელიც ფინალში გვიან გამოფხიზლდა ტრადიციულ თურქ მეტოქესთან – აწ უკვე 11-გზის(1) ჩემპიონ ტაჰა აკგულთან და 0:5-ის შემდეგ 4:5 დამარცხდა, ხოლო 92 კილოში ღირსეული ბრინჯაო **მირიან მაისურაძემ** მოიხვეჭა.



ავტოპორტრეტი

ვერნისაჟი

„ორი მუზის“ მესაიდუმლე

...მხატვარი თანაბრად ძლიერია სახვითი ხელოვნების ყველა კლასიკურ ჟანრში: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. მას ახასიათებს შესრულების უნივერსალური სტილი, ჩანაფიქრის სიღრმე, მშვენიერების გადმოცემის უაღრესად ნატიფი პოეტური მანერა და დახვეწილობა.

დიდი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს ბუმბერაზ მეფეთა, საზოგადო მოღვაწეთა და სპორტსმენთა პორტრეტების სერიას: დავით IV აღმაშენებლის, მეფე ერეკლეს, ვაჟა-ფშაველას, აწ გარდაცვლილი მეუღლის, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს თამარ ბაკურაძის სახებას...

ჭეშმარიტად დიდოსტატი ხელოვანის მარჯვენით არის შესრულებული ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები: ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატი, გელათი, ვარძია, მეტეხი, დავით გარეჯი, სამების ტაძარი...

ჩემთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავია სურათი-შედევრები: მშობლიური ონის რაიონის სოფელი ჭიორა ზაფხულსა და ზამთარში, რომლებიც ბრწყინვალე ტილოებია თავისი კომპოზიციით, იდუმალებით, სიმკვეთრითა და ფერთა სიუხვით.

მსოფლიო სახვითი ხელოვნების მატიანეში არ არის პრეცედენტი იმისა, რომ მოჭიდავე-სპორტსმენი იყოს მხატვარი, თანაც ასეთი დონის კლასიკოსი შემოქმედი. რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს უბადლო მხატვარი ქართველი **ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილია** – წერს შთაბეჭდილებათა წიგნში იურისტი, ფილოსოფოსი და მწერალი ბორის რეხვიაშვილი და ძნელია არ დაეთანხმო მას. დიახ, – საგაზეთო სტატიის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას უფრო სრულად ავსახოთ „ორი მუზის“ მესაიდუმლის მდიდარი სულიერი სამყარო, რომელმაც ამ დღეებში მეშვიდე პერსონალურ გამოფენაზე მიგვიწვია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (რომლის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულიც ბრძანდება) გალერეაში, სადაც მასპინძლობა ამ საუკუნოვანი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა – დავით ოქიტაშვილმა და ზურაბ გუდავაძემ გაუწიეს.

საფიცარი მამულის ტერიტორიული მთლიანობისათვის ვეტერანი მებრძოლი თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არაერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე იღვწოდა და სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ვადამდე მიენიჭა კაპიტნისა და მაიორის წოდებები.

რაც შეეხება გატაცებებს, სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობებში საქართველოს, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი იყო, შემდეგ კი... მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა ფერწერაში.

მეფე ერეკლე



ვარძია

კატიწვერა

და ბოლოს: შეიძლება ნელ-ნელა იწვოდე და არ დაიწვა. შეიძლება წამის წამი მოიცვა და წამის წამში დაიწვა. ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილი ღვთაებრივი ნიჭით მადლმოსილ შემოქმედთა თანავარსკვლავედს განეკუთვნება. ის თავისი ფუნჯით ეფერება რაჭის მაღალმთიან სოფლებს და იქიდან უგზავნის სიყვარულს სრულიად საქართველოს – ეს უკვე პოეტ ერეკლე საღლიანის სტრიქონებია.

დასტურ!

გია პლატონიშვილი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 41 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

სამართალდამცველების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოქალაქეს ოთხი სავსე ჩანთა ჰქონდა. ჩხრეკისას ბარგში საეჭვო პროდუქცია იპოვეს, რომლის წარმომავლობა ამ დრომდე უცნობია. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ეჭვის გაფანტვის მიზნით კაცმა თქვა, რომ ეს ჩანთები მისი არ იყო. პოლიციამ კაცი ადგილზევე დააკავა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიება გრძელდება.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲓᲐᲭᲠᲐ!

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ, ქალაქ ᲰᲝᲚᲝᲜᲨᲘ, საქართველოს მოქალაქე ასევე ქართველმა კაცმა სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრის შესახებ პოლიციას ინფორმაცია საავადმყოფომ მიაწოდა.

40 წლის დაზარალებული კაცი კლინიკაში მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს, მოგვიანებით კი ის გარდაცვლილად გამოცხადდა. პოლიციამ ჩხრეკისას სავარაუდო დამნაშავე დააკავა, რომელიც ასევე საქართველოს მოქალაქეა, ის ᲰᲝᲚᲝᲜᲘᲡ სადგურში დაკითხვისთვის გადაიყვანეს. საᲰᲐᲔᲠᲝ ძალების აიალონის ტერიტორიის მეთაურის მოადგილემ, შლომი ბენ ზიმანმა შემთხვევის ადგილას ვითარება შეაფასა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲫᲐᲚᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲣᲚᲡ

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲜᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲩᲮᲣᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲑᲔ.

დაპირისპირებიდან რამდენიმე წუთში, საავადმყოფოს ტერიტორიაზე სავარაუდოდ ვინმე მიხეილ დვალიძე ჩნდება, კაცი, რომელსაც ქართველი ემიგრანტები რეკეტში ადანაშაულებენ. დვალიძე ემიგრანტ ქალებს საქმის გარჩევას სხვა ტერიტორიაზე სთხოვს.

შიშის მიზეზი ხარკის გადაუხდელობაა, რომელსაც საავადმყოფოში პაციენტების მომვლელებად დასაქმებულ ქალებს მათივე ინფორმაციით, მიხეილ დვალიძე სთხოვს.

როგორც საბერძნეთში მყოფი ქართველები გვიყვებიან, დასაქმების სქემა ასე მუშაობს: ემიგრანტები საავადმყოფოს მიმღებთან პაციენტებს ელოდებიან, მათ საკონტაქტო ბარათებს აძლევენ და მომვლელები ხდებიან. ემიგრანტი ქალები გვიყვებიან, რომ ქართველების ნაწილს, სამსახურის პოვნაში მიხეილ დვალიძე და მისი მეუღლე ლალი მანჯგალაძე, იგივე ანა ბეკერი ეხმარება და 12 საათში გამომუშავებული 70 ევროდან, 20-ის გადახდას სთხოვს. ნაწილი სამსახურს დამოუკიდებლად ეძებს, მუქარაც იმ ადამიანებზე ხორციელდება, რომლებმაც სამსახურის ძიება მისი შუამავლობის გარეშე გადაწყვიტეს. დამოუკიდებლად სამსახურის მაძიებელ ქართველ ქალებზე მუქარა უკვე წლებია გრძელდება, თუმცა ხმის ამოღება მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს. მიხეილ დვალიძესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა მისმა მეუღლემ ანა ბეკერმა ბრალდებებს ბრალდებებითვე უპასუხა, თქვა რომ ქართველები მას და მის მეუღლეს უკვე 10 თვეა , რაც ემუქრებიან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ 100 000 ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲪᲐᲓᲐ

– ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ 11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲐᲢᲘᲠᲐᲣᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ.

როგორც ყაზახური მედია წერს, KC 7993 ატირაუ-ქუთაისის რეისის მგზავრმა აუეუაი-ატირაუს საბაჟო პუნქტის თანამშრომლებს შეატყობინა, რომ ხელბარგში 10 ათასი აშშ დოლარი ჰქონდა. თუმცა საბაჟო კონტროლის დროს სასაზღვრო სამსახურის დეპარტამენტისა და ეკონომიკური გამოძიების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქის ბარგის განყოფილებაში დამალული კიდევ 90 ათასი აშშ დოლარი აღმოაჩინეს.

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲖᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ.

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილება დეპუტატებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ გააცნო.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲗᲮ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲨᲔᲔᲯᲐᲮᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, საქართველოს 4 მოქალაქეს მანქანა შეეჯახა. დაშავებულია ორი ზრდასრული მამაკაცი და ორი 13 წლის მოზარდი, რომლებიც ქვეითად გადაადგილდებოდნენ. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მანქანა, რომელსაც 90 წლის კაცი მართავდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ტროტუარზე შევარდა და ფეხით მოსიარულეებს შეეჯახა. დაშავებულები სასწრაფო დახმარებამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევა 19 თებერვალს, ადგილობრივი დროით, დაახლოებით 15 საათის შემდეგ მოხდა.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ, ᲞᲣᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ XX-XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2024

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲘᲡᲒᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲡ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ, ᲞᲣᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ XX-XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ“.

უკვე ამ სახელწოდების მიხედვით, წიგნი მკითხველის დიდ ყურადღებას იქცევს და თავიდან ბოლომდე საინტერესოდ იკითხება. ამას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ ავტორი პირადად იცნობდა ამ საქვეყნო ტრაგედიის მოთავეებს და ზოგიერთ მათგანთან მეგობრობდა კიცეც. ასე რომ, მკითხველი ამ მოვლენების შეფასებას პირველწყაროდან ღებულობს. სხვა საქმეა, რომ ამ შეფასებებს, შესაძლოა, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები არ დაეთანხმონ, გამომდინარე მათი თვალსაზრისიდან, მაგრამ წიგნში წარმოჩენილ ფაქტობრივ მასალას გვერდს ვერ ავუვლით, იგი ჩვენი უახლესი ისტორიის კუთვნილებაა.

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 1 015 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲛᲝᲘᲠᲬᲧᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ 4 ᲙᲛ-ᲛᲓᲔ ᲡᲘ�გᲠᲫᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲨᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ, 25 ᲙᲛ ᲡᲘ�გᲠᲫᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲣᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია ახორციელებს.

8,7 მლნ ლარის ღირებულების პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფილი გახდება 1 015 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. რეაბილიტირებული სარწყავი სისტემის საშუალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ქოდალოს, არაშენდასა და დარჩეთის სავარგულები მოირწყვება.

ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ

ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ �გᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲬᲧᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ, ᲮᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲝᲰᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ.

„ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ, ᲡᲐᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲐᲡᲘᲡᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲛᲫᲚᲝᲚᲔᲑᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ

„ᲛᲘᲜᲘᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲣᲙᲕᲔ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲐᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲦᲔᲠᲔᲑᲣᲚᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

კანონპროექტის მიღების შედეგად ნებართვას დაექვემდებარება **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტაქსების საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის სფეროს გაჯანსაღებას.**

ნებართვა გაიცემა არანაკლებ 1 წლის ვადით, ნებართვის გაცემის უფლებამოსილება კი ენიჭება მუნიციპალიტეტის მერს ან მის მიერ უფლებამოსილ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.

მუნიციპალიტეტებს (გარდა დედაქალაქისა) 2025 წლის 1 ივნისამდე ეძლევათ ვადა, რომ უზრუნველყონ მსუბუქი ავტომობილით, ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელთა შესახებ მონაცემების ერთიან საინფორმაციო ბაზაში ასახვა, რომლის შექმნის, განახლებისა და დამუშავების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა 2025 წლის 1 იანვრამდე.

სანებართვო პირობების დარღვევით მგზავრების გადაყვანა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 და 200 ლარის ოდენობით. კანონპროექტის ავტორია ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო ინიციატორი საქართველოს მთავრობა.

თბილისის მერიამ ტაქსის რეფორმა 2018 წელს დაიწყო, რის შემდეგაც მძღოლებს ავტომობილის ლიცენზიის აღება, ტექნიკური ინსპექტირების გავლა, მანქანის თეთრად გადაღებვა და სხვა ვალდებულებები დაეკისრათ. სავარაუდოდ, მსგავსი მიდგომა იქნება მუნიციპალიტეტების შემთხვევაშიც.

მთავრობის ამ ინიციატივას დადებითად აფასებს „საქართველოს ტაქსების ფედერაციის“ დამფუძნებელი. **ზურა აგლაძის** თქმით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ტაქსის სფერო მსოფლიოში სრულად რეგულირებულია და უსაფრთხოების ყველა ნორმა, საქართველოს მასშტაბით სრულად უნდა იყოს დაცული.

„ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ეს სფერო მთელ მსოფლიოში რეგულირებულია იმის მიხედვით, რაც მოითხოვს უსაფრთხოებას, რაც მოითხოვს მომსახურების მაღალ დონეზე აწევას და ა.შ.“, – განაცხადა **აგლაძემ.**

ამის გარდა, ფედერაციის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ახალი კანონი მოაწესრიგებს მუნიციპალიტეტებში არსებულ ვითარებას, რომ ყველა მანქანა უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების გარკვეულ ნორმებს და იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მგზავრთა გადაყვანისთვის აუცილებელია.

„ნიუ იორკში ტაქსის ლიცენზია ერთი პერიოდი ნახევარი მილიონი დოლარი ღირდა. საქართველოში ახლა 2000 ლარამდეა. თავად ლიცენზია დასაქმების კარგი საშუალებაა, არიან პროფესიონალები, რომლებიც მთელი ცხოვრება ამ განხრით მუშაობენ. ეს რეგულაცია, პირველ რიგში, უსაფრთხოებას და სერვისს გააუმჯობესებს. მომხმარებლის კომფორტი ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ ისეთი რეგულაცია, რომელიც მუნიციპალიტეტებს სრულიად მოაწესრიგებს, მისაღებია“, – განუცხადა „ბიბიენს“ აგლაძემ. ექსპერტთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ სფერო მოსაწესრიგებელი და დასარეგულირებელია, თუმცა რეფორმის გატარება ყველგან საჭირო არ არის და გააჩნია, მუნიციპალიტეტის ზომას, სიდიდეს, მასშტაბს.

ᲒᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

აჭარული ხაჭაპურით აღფრთოვანებულნი

CNN-ის 50 საუკეთესო პურის სახეობას შორის აჭარული ხაჭაპური მოხვდა.

„იმერული ყველითა და სულგუნით გაჟღენთილი ხაჭაპური საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კერძია.

ბრტყელი ფორმის პური ცხვება საფუვრიანი ცომით, რომელსაც ნავის ფორმას აძლევენ. მასში ათავსებენ უხვად ყველსა და კვერცხს. წაგრძელებული ფორმა მაქსიმალურად ზრდის კონტრასტს ტექსტურაში, ნაზი შიგთავსიდან მკვეთრ, ყავისფერ წვეროებამდე. 2019 წელს ხაჭაპური „იუნესკოს“ არამატერიალურ ფასეულობათა ნუსხაში შეიტანეს“, – წერს CNN-ი.

CNN: ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის დამსახურებით კრემლი უპრეცედენტოდ გამდიდრდა

ამერიკული არხის ცნობით, გასულ წელს ამერიკამ ინდოეთში გადამუშავებული, ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების რუსული ნავთობპროდუქტები შეიძინა. „ენერგეტიკისა და სუფთა ჰაერის კვლევის ცენტრის“ ანალიზზე დაყრდნობით, CNN-ი იუწყება, რომ ინდოეთმა, ომამდელ პერიოდთან შედარებით, რუსული ნედლი ნავთობის შესყიდვა 13-ჯერ გაზარდა.

2023 წელს ინდოეთმა მოსკოვისგან 37 მილიარდის ღირებულების გადაუმუშავებელი ნავთობი შეიძინა, გადაამუშავა და ნაწილი შეერთებულ შტატებს მიჰყიდა. CNN-ი ექსპერტებზე დაყრდნობით წერს, რომ მიღებული თანხის ნაწილს კრემლი უკრაინაში ომის წარმოების დასაფინანსებლად მოიხმარს.

ისრაელმა ბრაზილიის პრეზიდენტი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

ღაზაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ჰოლოკოსტთან შედარების გამო ისრაელმა ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვა პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბრაზილიის ელჩიც დაიბარეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაელ კაცმა, რომლის მშობლები ჰოლოკოსტს გადაურჩნენ, ბრაზილიელი დიპლომატი ფედერიკო მაიერი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალთან, „იად ვაშემთან“ მიიყვანა, სადაც ჰოლოკოსტის დროს დაღუპული თავისი ბებიისა და ბაბუის სახელები აჩვენა. მედიის თანდასწრებით მინისტრმა ელჩს უთხრა, რომ ლულა ისრაელში სასურველი სტუმარი არ არის.

„ჩვენ არ დავივიწყებთ და არ ვაპატიებთ. ეს არის სერიოზული ანტისემიტური თავდასხმა. ჩემი და ისრაელის მოქალაქეთა სახელით, გადაეცით პრეზიდენტ ლულას, რომ ისრაელში პერსონა ნონ გრატაა, ვიდრე თავის სიტყვებს უკან არ წაიღებს“, – განაცხადა ისაელ კაცმა.

მექსიკაში, აშშ-ის საზღვართან, სულ მცირე, 12 ადამიანი დაიღუპა

როგორც ტამაულიპასის შტატის უსაფრთხოების სამსახური აცხადებს, სამხედროები ტეხასის საზღვრის გასწვრივ პატრულირებდნენ, როდესაც მათ შეიარაღებული მოქალაქეები დაესხნენ თავს, რის შემდეგაც სამხედროებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს.

უწყებაში არ აკონკრეტებენ, არიან თუ არა დაღუპულებს შორის სამხედროები. როგორც სააგენტო „როიტერი“ აღნიშნავს, ტამაულიპასის შტატში სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებს.

დიდთოვლობა და მეწყერები ავღანეთში

დიდთოვლობით გამოწვეული მეწყრის შედეგად აღმოსავლეთ ავღანეთში, სულ მცირე, 25 ადამიანი დაიღუპა, – ამის შესახებ „ბიბისი“ წერს.

ავღანეთის კატასტროფების მართვის სამინისტროს სპიკერის თქმით, განადგურებულია 20-მდე საცხოვრებელი სახლი. ამინდის გამო შეფერხდა სამაშველო ოპერაციები. დიდთოვლობის გამო გადაიკეტა გზები, ასევე სამაშველო ჯგუფებმა ვერ მოახერხეს შემთხვევის ადგილას ვერტმფრენით მისვლა.

ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ სამაშველო ოპერაციებისთვის თანამედროვე აღჭურვილობა და სხვადასხვა ხელსაწყო ხელმისაწვდომი არ არის. რეგიონში მეწყრული პროცესები იშვიათი არაა. 2017 წელს პროვინციაში ზვავს 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 2021 წელს წყალდიდობის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა.

ვირის ტყავით ვაჭრობა აიკრძალა

აფრიკის კავშირმა მთელი კონტინენტის მასშტაბით ვირის ტყავით ვაჭრობა აკრძალა. ცხოველების უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აფრიკის კავშირის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს.

55 აფრიკულ ქვეყანაში ვირის კანის მისაღებად ვირების მოკვლა იკრძალება. ვირის კანზე საბაზრო მოთხოვნა ჩინური ტრადიციული მედიცინის, ეჯიაოს პოპულარობის გამო გაიზარდა, სადაც ვირის ტყავს იყენებენ. ეჯიაო ჩინურ მედიცინაში გამაახალგაზრდავებელი პროცედურაა, თუმცა მისი ეფექტები მეცნიერულად ჯერჯერობით დაუდასტურებელია.

სამხრეთ კორეაში მედიკოსებმა მასობრივი გაფიცვა გამოაცხადეს

სამხრეთ კორეაში მედიკოსებმა მასობრივი გაფიცვა გამოაცხადეს. სეულის უმსხვილესი, წამყვანი კლინიკების 13 ათასიდან 6 400-მა ექიმმა კი პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა.

მედიკოსების უკმაყოფილება ხელისუფლების გეგმამ გამოიწვია, რომელიც სამედიცინო სასწავლებლებში, მომავალი წლიდან, სტუდენტების რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 23 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6467; ევრო - 2.8600;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3378;
100 რუბლი - 2.8604; თურქული ლირა - 0.0857;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5555;
1000 სომხური დრამი - 6.5508

ამინდი 21 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	–2,	დღე +11
მთიანი რაიონები -	ღამე	–6,	დღე +8
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	0,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე	–6,	დღე +10
თბილისი:	ღამე	+3,	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge